# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 21 მარტი, 2013 წელი.

№52 (7179)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


## სხვათა და სხვათა მამლობა, ჩვენი დედლობის ბრალია?..



③

## ობამას ადმინისტრაციას საქართველოს საკონსტიტუციო კრიზისში ჩარევისკენ მოუწოდებენ

⑧

## საქართველო საექსპერიმენტო პოლიგონია?

⑤

## პროკურატურა პატიმრების ორგანოებით ვაჭრობის ფაქტებს იკვლევს

⑥

## „ცოტნე დადიანად“ შერაცხილი ციხის ბუნტის ორგანიზატორია

## „დონ ჟუანი“ და დიპლომატია

⑨



## გამოცხადებულ გადადგომათა ქრონიკები

⑦



④

## დიდი ოვანეს თუმანიანი

წინ, საქართველო!

## არის პირველი „ოქრო“!

ევროპის ჩემპიონატის მეორე დღეს თბილისის სპორტის სასახლის თაღებქვეშ საქართველოს ეროვნული ჰიმნი თავისუფალ ჭიდაობაში 55 კგ წონით კატეგორიაში გამარჯვებული ჩვენი ფალავნის **გიორგი ედიშერაშვილის** პატივსაცემად აჟღერდა.

ასეთი ფორუმის დებიუტანტმა ზედიზედ სძლია აზერბაიჯანელ, რუს და თურქ მეტოქეებს, ხოლო ფინალში სამსეტიანი დაძაბული ბრძოლა ბელარუს ვლადისლავ ანდრეევს მოუგო.

გუშინვე „ჯვაროსანთა“ ყულაბა ბრინჯაოს მედლით ლონდონის ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონმა **ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა** გაამდიდრა (60 კგ).



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ინფორმაცია

## თეა წულუკიანი უმცირესობის ფანტაზიებით გაოცებულია

— უმცირესობა თუ პასუხისმგებლობის მქონე ოპოზიციაა, აუცილებლად მხარს დაუჭერს საკონსტიტუციო ცვლილებებს, ყოველგვარი რეიტინგული კენჭისყრის გარეშე. ეს საკონსტიტუციო ცვლილება არ კეთდება ვინმესთვის, ეს კეთდება ქვეყნისთვის იმის გამო, რომ ქვეყანაში დემოკრატიულად ჩატარებული არჩევნების შემდეგ არ მოხდეს სახელმწიფო დესტაბილიზაცია. თუ ეს ოპოზიციას არ ესმის, მაშინ უმცირესობის ფანტაზიებს ფართოდ შეიძლება გაეხსნას კარი, — აღნიშნა თეა წულუკიანმა.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მზად არის, საკონსტიტუციო ცვლილებას მხარი დაუჭიროს, თუმცა, მანამდე სარეიტინგო კენჭისყრის ჩატარებას ითხოვს. ამის შესახებ საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა დავით ბაქრაძემ განაცხადა.

მისივე ინფორმაციით, უმცირესობის შეხვედრაზე გადაწყდა, რომ მოითხოვენ, ჩატარდეს სარეიტინგო კენჭისყრა, რომლითაც გაირკვევა, თუ რამდენი ხმა აქვს უმრავლესობას და რამდენი ხმა სჭირდება მას საკონსტიტუციო კვორუმისთვის. „მივცემთ ზუსტად იმდენ ხმას, რამდენი ხმაც აკლიათ“, — აღნიშნა ბაქრაძემ.

ამასთან, საპარლამენტო უმრავლესობაში აცხადებენ, რომ ასეთი კენჭისყრის აუცილებლობა არ არსებობს.

## მოქალაქეები ხადურს ორშაბათობით შეხვდებიან

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროდან აცნობეს, სამინისტროს მუშაობის გამჭვირვალობისა და საზოგადოებასთან მუდმივი დიალოგის უზრუნველსაყოფად, ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა მოქალაქეთა მიღების ოფიციალურ დღედ ორშაბათი გამოაცხადა.

მინისტრთან შეხვედრის თხოვნით ფინანსთა სამინისტროს ბოლო პერიოდში უკვე 200-ზე მეტმა ადამიანმა მიმართა.

მოქალაქეების მიღება ორშაბათობით, 18:00 საათიდან დაიწყება. მიღება წინასწარი ჩაწერით იწარმოებს.

## თურქი ბიზნესმენი წართმეული წილების დაბრუნებას ითხოვს

თურქი ბიზნესმენი ომერ სარი საქართველოს ყოფილი ხელისუფლების მხრიდან მუქარის, შანტაჟისა და წართმეული წილების შესახებ საუბრობს.

როგორც ომერ სარმა სასტუმრო რედისონში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, იგი 1990 წლიდან საქართველოში საქმიანობს. მისი ინფორმაციით სამოქალაქო ომის დროს ბიზნესი შეაჩერა, თუმცა, მოგვიანებით, 1997 წლიდან საქმიანობა კვლავ განაახლა.

— 2003 წლიდან შევიძინე წილები კომპანიებში, რომლებიც მართავდნენ ფოთის პორტის ტერმინალებს. სამი კომპანიიდან ორ კომპანიაში მოხდა წილების ცვლილება და მართვაში მოვიდა „სონატა ალიანს ჯორჯია“, რომელმაც დანიშნა დირექტორი ლევან ჯღარკავა. ამ უკანასკნელის მიერ 2 მილიონ ლარზე მეტია გამოტანილი საქვეანგარიშოდ და გადარიცხული არადანიშნულებისამებრ. უკვე წელიწადზე მეტია, საჩივარი მაქვს შეტანილი ფინანსურ პოლიციაში მე-5 ტერმინალზე თანხების არამიზნობრივად ხარჯვის შესახებ, თუმცა, ჯერ ამას რეაგირება არ მოჰყოლია, — განმარტა ომერ სარიმ.

ამასთან, ბიზნესმენი დახმარების თხოვნით მიმართავს საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილს, თურქეთის პრემიერ-მინისტრ რეჯეპ ტაიპ ერდოღანს, თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ლევენთ მურათ ბუხრანს.

მისივე თქმით, სამართლიანობის აღდგენის იმედით, მზად არის, ითანამშრომლოს გამოძიებასთან. ამასთან, როგორც ბიზნესმენმა აღნიშნა, დღესვე აპირებს, რომ მიმართოს განცხადებით საქართველოს მთავარ პროკურორ არჩილ კბილაშვილს წართმეული წილების და გაფლანგული თანხების დაბრუნების მიზნით.

## ბათუმელი მოშიმშილეების მოთხოვნებს მთავარი პროკურატურა შეისწავლის

საქართველოს მთავარი პროკურატურა ბათუმელი მოშიმშილეების მოთხოვნის, პროკურორ ავთანდილ კილაძის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და სამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემის საკითხთან დაკავშირებით მოკვლევას აწარმოებს. ბათუმის იუსტიციის სახლის მიმდებარედ კარავში მყოფ მოშიმშილეებს მთავარი პროკურატურის გამომძიებლები შეხვდნენ.

როგორც საქართველოს მთავარი პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელმა დემეტრე გრიგალაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, მთავარი პროკურატურისთვის ცნობილი გახდა ბათუმელი მოქალაქეების საჩივარი აჭარის პროკურორთან დაკავშირებით. მისივე თქმით, აღნიშნული საკითხის შესწავლის მიზნით ჯგუფი თბილისიდან ჩამოვიდა.

მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის თანამშრომლის შოთა კაკულიას თქმით, დაახლოებით, სამი კვირის წინათ მთავარი პროკურორის ბრძანებით შეიქმნა 12-კაციანი კომისია, რომელიც პროკურატურის თანამშრომლებთან დაკავშირებით არსებულ საჩივრებს შეისწავლის.

ბათუმის იუსტიციის სახლის მიმდებარედ კარავში მეხუთე დღეა რამდენიმე ადამიანი შიმშილობს.

ინტერპრესი

ახალი ფურცელი ორი ქვეყნის ურთიერთობაში

## მაია ფანჯიკიძე: ახალციხელი თურქების რეპატრიაცია-დაბრუნების პროცესი დაწყებულია

**თურქული გამოცემა „საბაჰი“ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძესთან ინტერვიუს აქვეყნებს, რომელიც „ფეისბუქზე“, საგარეო უწყების ოფიციალურ გვერდზე გავრცელდა.**

**გაზეთთან ინტერვიუში საგარეო უწყების ხელმძღვანელი თურქეთსა და საქართველოს შორის არსებულ ურთიერთობებზე საუბრობს.**

ფანჯიკიძემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ თურქეთი საქართველოსთვის პირველი სავაჭრო პარტნიორია. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა მოაგვარებს პრობლემებს სავაჭრო ურთიერთობებში და შეეცდება პირობების გაუმჯობესებას.

„საქართველოს მთავრობა ორიენტირებულია, ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებას; მოიზიდოს და წაახალისოს ინვესტიციები. შესაბამისად, არ იქნება წნეხი პოლიტიკური ნიშნით ბიზნესმენებზე. პირიქით, ყველა ბიზნესმენს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის დაცვით წარმართავს თავის ბიზნეს საქმიანობას, ჩვენს ქვეყანაში, ამისთვის ყველანაირი პირობა ექნება“, — განაცხადა მინისტრმა.

მან აღნიშნა, რომ საჭიროა ორ ქვეყანას შორის არსებული თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული შესაძლებლობების სრულად გამოყენება. ამისთვის კი აუცილებელია, გასული წლის 1,5 მილიარდ დოლარის ოდენობის სავაჭრო მოცულობის გაზრდა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შემდგომი გაღრმავების გზით.

მაია ფანჯიკიძემ საუბარში აღნიშნა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის მიერ თურქეთში განხორციელებული ვიზიტით დაიწყო ახალი ფურცელი ორი ქვეყნის ურთიერთობაში. ფანჯიკიძის შეფასებით, „ქართული ოცნების“ ლიდერს ივანიშვილს ანკარაში ძალიან მეგობრულად შეხვდნენ.

„საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებია კარგი ურთიერთობების ქონა მეზობელ ქვეყნებთან და ურთიერთობების ნორმალიზაცია რუსეთთან. ამ კუთხით, სამაგალითოა ურთიერთობები თურქეთთან. ეჭვი არ მეპარება, ჩვენი ურთიერთობები კიდევ უფრო განვითარდება“, — განაცხადა მან.

ფანჯიკიძემ აღნიშნა, რომ 2008 წლის 1-ელი ნოემბრიდან თურქეთ-საქართველოს შორის ძალაში შევიდა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება, რის



ფარგლებშიც მიმდინარეობს მუშაობა ქართული და თურქული სამრეწველო საქონლის ექსპორტ-იმპორტის რაოდენობრივი შეზღუდვების მოხსნის მიმართულებით.

მინისტრმა განაცხადა, რომ ხორციელდება 2012 წლის 4 აპრილს ძალაში შესული სასაზღვრო-გამშვები პუნქტების ერთობლივი ექსპლოატაციის შესახებ ხელშეკრულების ტექნიკური ხასიათის ტესტირების რეჟიმი და იგი უახლოეს მომავალში ამოქმედდება. მისივე თქმით, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ივანიშვილსა და თურქეთის პრემიერ-მინისტრ რეჯეფ თაიფ ერდოღანს შორის ანკარაში გამართული შეხვედრისას დღის წესრიგში დადგა ახალციხელი თურქების რეპატრიაციის საკითხი. ფანჯიკიძემ დასძინა, რომ დაბრუნების პროცესი დაწყებულია.

„პროცესი ეტაპობრივად ხორციელდება. პირველი ეტაპი გახლავთ რეპატრიანტის სტატუსის მაძიებელ პირთაგან განაცხადების მიღება. ჩვენთან შემოვიდა 5841 განცხადება 8900 პირისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ განცხადებების უმრავლესობა იყო ხარვეზებით. შემუშავდა მექანიზმი, რომლის თანახმადაც სტატუსის მაძიებლებს მიეცათ აღნიშნული ხარვეზების გასწორების შესაძლებლობა. რეპატრიანტის სტატუსი მიღებული აქვს 864 მოქალაქეს. მათგან 6 პირს შეტანილი აქვთ განაცხადი საქართველოს მოქალაქეობაზე. საქართველოს მთავრობა ასევე აქტიურად მუშაობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად რეპატრიაციის სტრატეგიასა და ინტეგრაციის პროცესზე. არის გარკვეული ეტაპები, რაც სავალდებულოა, რომ ყველა სტატუსის მაძიებელმა და უკვე სტატუსის მქონე პირმა გაიაროს. საქართველოს მთავრობა ძალ-ღონეს არ იშურებს, რომ აღნიშნული პროცესი მაქსიმალურად გამარტივებული იყოს დეპორტირებული პირებისთვის“, — განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

მაია ფანჯიკიძემ აღნიშნა, რომ ორი ლიდერის შეხვედრაზე დღის წესრიგში დადგა პატიმრების ურთიერთგადაცემის თემა. მან აღნიშნა, რომ პატიმართა სამართლებრივი მდგომარეობის შეფასების მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც უახლოეს ხანში მიიღებს კონკრეტულ გადაწყვეტილებებს. საგარეო საქმეთა მინისტრმა ფანჯიკიძემ განაცხადა, რომ შემთხვევითი არ იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრის ივანიშვილის მიერ ერთ-ერთი პირველი ვიზიტის თურქეთში განხორციელება. მან დასძინა, რომ ორი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი თებერვლის თვეში გამართული შეხვედრისას შეთანხმდა „პროტოკოლის გარეშე“ ურთიერთობაზე, აგრეთვე იმაზეც, რომ ერთმანეთთან შეეძლებათ ტელეფონით ურთიერთობა ნებისმიერ მომენტში.

„თბილი ურთიერთობები და პირადი კეთილგანწყობა დადებითად აისახება ორმხრივი თანამშრომლობის აქტუალური საკითხების განხილვისას თუ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მეგობრული ურთიერთობები წარმატებული საქმიანი ურთიერთობის საწინდარია“, — განაცხადა ფანჯიკიძემ.

მანვე აღნიშნა, რომ ივანიშვილმა საქართველოში მიიწვია პრემიერ-მინისტრი ერდოღანი, რომელმაც სიამოვნებით მიიღო მიწვევა.

ნაგვით სავსე მდინარე

## მტკვარს კიდევ დაბინძურება უნდოდა?!

**მტკვარს დიდი რაოდენობით ნაგავი მოაქვს. მეტეხის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე მტკვარი ბოთლებით, პოლიეთილენის პარკებით, ხის ტოტებით, ქაღალდებით არის სავსე.**

როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, მეტეხის ხიდთან ტურისტები ჩერდებიან და დანაგვიანებული მტკვრის ფონზე ფოტოებსაც იღებენ.

ამასთან, როგორც მერიაში აცხადებენ, მტკვრის გასაწმენდად შესაბამისი სამსახურის ჯგუფებია მობილიზებული.



ქარტია

## საქართველოს სახელმწიფოებრიობას ეწინააღმდეგება

**„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერის კახა კუკავას თქმით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და კოალიცია „ქართული ოცნება“ შეთანხმებულები არიან, ევროპული ქარტიის რეგიონულ და უმცირესობათა ენების შესახებ რატიფიცირება მოხდეს.**

გაზეთ „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე კახა კუკავამ ჟურნალისტებს ქარტიის დეტალები გააცნო და განაცხადა, რომ ქარტია ეწინააღმდეგება საქართველოს სახელმწიფოებრიობას.

მისივე თქმით, სიცრუეა ის, რომ აღნიშნული ქარტია რატიფიცირებული აქვს ევროპული ქვეყნების უმრავლესობას. მისი ამოცანა არ არის რეგიონული ენების დაცვა და მისი ამოცანა თავიდანვე იყო გადაშენების პირას მყოფი ენების გადარჩენა.

კუკავა მიიჩნევს, რომ ამ ქარტიის რატიფიცირებით ქვეყანაში მივიღებთ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მსგავს კიდევ ორ რეგიონს — ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთს, რადგან ქარტია გულისხმობს მინიმუმ ერთი ენისათვის რეგიონული ენის სტატუსის მინიჭებას. და თუ სომხურ ენას მიენიჭება ეს სტატუსი, მაშინ შესაძლოა, ასეთივე ენის სტატუსის მინიჭება მოითხოვოს აზერბაიჯანულმა მოსახლეობამ საქართველოში.

კუკავა გამართლებულად მიიჩნევს, რომ საქართველომ გაითვალისწინოს ვენეციის კომისიის რჩევები სასამართლოს დამოუკიდებლობასა და კონსტიტუციასთან დაკავშირებით, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოახდინოს მსგავსი ქარტიის რატიფიცირება.

„ორი საშუალებაა ამის შესაჩერებლად. ერთი, რომ საზოგადოება და ასევე საპატრიარქოც ღიად დაუპირისპირდეს მის რატიფიცირებას, ხოლო მეორე, მივმართავ პარლამენტის ორ ფრაქციას: „ეროვნულ ფორუმს“ და „მრეწველებს“, რომ უახლოეს დღეებში გამოხატონ პოზიცია და მხარი არ დაუჭირონ ქარტიას. თუ ისინი ამას მხარს არ დაუჭერენ, ეს მიზანი განუხორციელებელი დარჩება“, — განაცხადა კახა კუკავამ.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# სხვათა და სხვათა მამლობა, ჩვენი დედლობის ბრალია?..

**წერილის სათაური, ცხონებული გიზო ნიშნიანიძის ლექსიდან ფრთიანი ფრაზის მცირედი პერიფრაზია. იქნებ არც უმაგისობაა, მაგრამ თბილისის უკანასკნელი ტრუბადურისგან განსხვავებით, მაინც კითხვის ნიშანი დავსვი, რადგანაც არა მგონია, რომ მთლად ასე მარტივად იყოს საქმე...**

ერთხელაც დავინახე, რომ სამშობლოს ვკარგავდი! — ციტირებაზე თავს ვერ დავდებ, მაგრამ მთავარი გზავნილი ბიძინა ივანიშვილის პირველი წერილისა 2011 წლის 7 ოქტომბერს, სწორედ ეს იყო!

არა, გაზრდილი პენსია-ხელფასების, განახევრებული დენის თუ გაზის ტარიფების და ა.შ. სხვა მრავალი სოციალური სიკეთის გამო, რაც მოგვიანებით უხვად გაკეთდა, არამედ, პირველ რიგში დაკარგული სამშობლოს დაბრუნების იდეის გარშემო გაერთიანდა ქართველი ერი თუ ბერი და უპირობოდ მიენდო სამების აღმშენებელს. იქამდეც კი, რომ „ბიძინამ იცის, ალბათ, ასეა საჭირო“, აქედან გამომდინარე, ისეთ პარტიებსა და მცირედი გამონაკლისების გარდა, ისეთ პერსონებს მივეცით ხმა, რომლებიც უკვე პოლიტიკურ მორგში ეყარნენ და მხოლოდ ბალზამირებაღა აკლდათ!

მართლაც, 1 ოქტომბერს „ქართულმა ოცნებამ“ ის შედეგი დადო, რასაც ერთი წლის წინათ ბიძინა ივანიშვილი დაგვპირდა — არჩევნების გზით შეიცვალა სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმი და, რომ გვეგონა, მყისიერად, მეორე დღესვე, უპრობლემოდ დაიწყებოდა სამართლიანობის აღდგენა, რომელსაც ივანიშვილისვე მრავალგზისი ხაზგასმით — ეკონომიკა-სამუშაო ადგილების აღდგენა-შექმნას დრო და ფინანსები სჭირდება, ხოლო სამართლიანობის აღდგენას მხოლოდ პოლიტიკური ნება და ამიტომ უცბად მოვაგვარებთ ამ პრობლემასო, ასე არ მოხდა!

რადგანაც...

ივანიშვილის (დიახ, პირადად ივანიშვილის, რადგან მას მიეწერება პიროვნულად არჩევნების მოგება, ასევე ყველა შეცდომა-გადაცდომაზეც პირადად იგია პასუხისმგებელი და არა „ქართული ოცნების“ ჭრელი შემადგენლობა) პირველი და ყველაზე დიდი შეცდომა, რის მტკივნეულ შედეგებსაც ახლა ვიმკით და მომავალში კიდევ მეტს მოვიმკით, ის იყო, რომ უკრიტიკოდ მიიღო ამერიკელების მიერ „შემოგდებული“ თეზა, გნებავთ პარადიგმა, რომ 1 ოქტომბრის არჩევნებზე ოპოზიციის გამარჯვება, ნაცების მიერ ხელისუფლების მშვიდობიანად გადაბარება-დათმობა და ა.შ. სააკაშვილის ხელისუფლების დემოკრატიულობის დამსახურება ყოფილა და არა ქართველი ხალხის „განწირული სულისკვეთებისა“, ანუ ამ შემთხვევაში მართლაც, ამერიკელების მამლობა, ჩვენი დედლობის ბრალია!

მაგრამ ნამდვილად არსებობს ობიექტური ფაქტორები, რომლებიც ნაცმოძრაობის თუ მისი წინამორბედი მოქალაქეთა კავშირის (რაც თვისებრივად ერთი და იგივეა — **დ.მ.**) დროს ჩადებული ნელი მოქმედების ნაღმები, რომელთაგანაც ზოგიერთებს, როგორც იტყვიან, უსაფრთხოების რგოლი გამოგლეჯილი აქვთ და საშინელი აფეთქების მომასწავებლად წივიან!

ერთ-ერთი ასეთი „ლიმონკა“ 1999 წელს ჩაიდო, როდესაც ევროსაბჭოში სასწრაფოდ გაწევრების სანაცვლოდ, მაშინ ჯერ კიდევ შევარდნაძის გვერდში მდგომ ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორთა მეცადინეობით, რომელსაც ზურაბ ჟვანია ედგა სათავეში, დაუფიქრებლად (იქნება პირიქით? — **დ.მ.**) იკისრეს ე.წ. თურქი მესხების მასობრივი ჩამოსახლების, ასევე ე.წ. სექსუალური უმცირესობების (წაიკითხე, ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონება — **დ.მ.**) უფლებების დაცვის და ე.წ. ნაცუმცირესობათათვის, სადაც ისინი კომპაქტურად სახლობენ, მათი მშობლიური ენებისთვის (ძირითადად სომხური და აზერბაიჯანული იგულისხმება — **დ.მ.**) ე. წ. რეგიონალური ენის სტატუსის მინიჭების ვალდებულებები!

ხედავთ, რამდენჯერ მომიწია „ე.წ.“-ის გამოყენება და ახლა ის, თუ რა ამუშავდა უკვე და რა შეიძლება ამუშავდეს იმ ვალდებულებებიდან, რომლებიც უკვე ბიძინა ივანიშვილის თავში საცემი გახდება! ამაზე თუა ნათქვაბი, „ბაბუის ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს მოსჭრა კბილიო“, ან უკვე უშუალოდ და მხოლოდ მიშა სააკაშვილის რუსეთისადმი ზიზღის ნაყოფს, ჩერქეზთა გენოციდის აღიარების დადგენილების სახით ჩადებულ ნაღმს თუ გავიხსენებთ, გამოვა — მიშას ნაჭამმა ქაქმა ბიძინას აუმყრალა საქმეო!

ამას წინათ ერთი ნაღმი უკვე ამოქმედდა და საქართველოში სომხური დიასპორის თავკაცმა, თბილისში თურქების მიერ სომხების გენოციდისადმი მიძღვნილი ძეგლის დადგმა მოითხოვა!

იმის მერე, რომ ჩერქეზთა გენოციდს აღიარებ, რაზედაც რუსეთის ყველაზე დაუძინებელი მტრებიც კი არ საუბრობენ, რადგანაც ასეთი რამ მეცნიერულად აღიარებულ უეჭველ ფაქტად არ ითვლება და მხოლოდ ნუგზარ წიკლაურის თუ აკუკი მინაშვილის იმბეცილ თავებში ბზრიალებს, რა ლოგიკის, რა ზნეობრიობით უნდა ვუთხრათ უარი ჩვენს სომეხ თანამემამულეებს იმაზე, რაც ლამის მთელს ცივილიზებულ მსოფლიოს დიდი ხანია აღიარებული აქვს?

არადა, საქართველოს მიერ მსგავსი ძეგლის დადგმას, როგორც ჯაჭვური რეაქცია, მყისიერად მოჰყვება ჩვენი აზერბაიჯანელების მხრიდან 1988 წელს სუმგაითში სომხების მიერ აზერბაიჯანელების გენოციდის აღიარების მოთხოვნა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეს დანასისხლად გადაკიდებული ერები, არა მხოლოდ საქართველოშიც ველარ იცხოვრებენ მშვიდობიანად, გნებავთ, უფრო მოდურად, ველარ იკოჰაბიტაციებენ, არამედ ამ



ყველაფერმა შეიძლება სრულიად კავკასიაში გამოიწვიოს არეულობა ჩვენი დიდი მეზობლების, თურქეთ-რუსეთის ჩართვით!..

რაც შეეხება უფრო ახლო პერსპექტივას, ჯავახეთის ახალქალაქის საკრებულოს რესპუბლიკური პარტიის დეპუტაციამ, ვინმე მოვსესიანის მეთაურობით, საქართველოს პარლამენტში ოფიციალურად წარადგინა მოთხოვნა, ჯავახეთში სომხური ენისთვის, რეგიონალური სტატუსის მინიჭების შესახებ კანონის განხილვაზე!

ახლა ვინმეს სჯერა, რომ მსგავსი რამ ჯავახეთის თვითმმართველობის დეპუტატების თვითმოქმედებაა და ცენტრთან, რესპუბლიკური პარტიის თბილისის ოფისთან არ არის შეთანხმებული? პარტიის, რომლის ერთ-ერთმა ლიდერმა და რეინტეგრაციის მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა მოასწრო და უკვე განაცხადა, რომ საქართველოს ადრე თუ გვიან მოუწევს აღებული ვალდებულებების რატიფიკაცია, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს ევროინტეგრაცია არ მოხდება?

ხომ წარმოგიდგენიათ საით მიჰყავთ საქართველო? იგივეს მოითხოვენ ქვემო ქართლის აზერბაიჯანელებიც, არ არის გამორიცხული, რომ გარე, ლიბერასტული ძალების წაქეზება-დაფინანსებით, იგივე მოთხოვნებს დააყენებენ სამეგრელო-სვანეთშიც. მით უმეტეს, რომ სოზარ სუბარის აზრი უკვე დაფიქსირდა. მართალია სხვა კონტექსტში, მაგრამ მაინც: რა მოხდა მერე, მეგრულ და სვანურ ენებზე თუ ითარგმნება ბიბლიაო!?

ეს ისე, ცნობისთვის და ნუ ეწყინებათ ჩემს საყვარელ სვანებს და განსაკუთრებით მეგრელებს, საიდანაც ვართ წარმოშობით მხეიძეების გვარის ჩემი შტო — რა თქმა უნდა, სამეგრელო-სვანეთთან მიმართებით, ჩვენს მტრებს არაფერი გამოუვათ, მაგრამ რაღაცა მცირერიცხოვანი ჯგუფის, სულგაყიდული ხალხის მოძებნა არ გაჭირდება!

ამ ყველაფერს მოკლედ, საქართველოს ფედერალიზაციისთვის, ანუ, საბოლოოდ დაშლისთვის საფუძვლის მომზადება ჰქვია! უფრო ვრცლად კი...

უკვე იმასაც მოვესწარით, რომ ლტოლვილთა მინისტრი დავით დარახველიძე, იმის გამო აცვეს ჯვარს, რომ გაბედა და ხმამაღლა განაცხადა, ქართველ კაცს ქართველი ქალი მინდაო რძლად და თუ რაჭველიც იქნა, ხომ უკეთესიო და სულ ქსენოფობი თუ სიძულვილის ენით მოლაპარაკე უძახეს ჩვენმა ლიბერასტმა „ენჯეოშნიკებმა“ — აღარაფერს ვიტყვი რობიკო სტურუაზე, რადგანაც საქართველოს რომ ქართველი პრეზიდენტი უნდა ჰყავდეს, ამის სურვილიც კი ფაშისტობად ითვლება!

თითქმის იგივე მიზეზით არ დანიშნეს სახალხო დამცველად 7 ქართველის (!!!) მამა დიმიტრი ლორთქიფანიძე — როგორ თუ გეი-პარადების და ერთსქესიანი ქორწინებების მომხრე არა ხარ ლია მუხაშავრიასგან განსხვავებით, რომელსაც ერთსქესიანი ქორწინებები და პედერასტობა პროგრესად მიაჩნია, მაგრამ ამაოდ „ისახელა“ თავი ქალბატონმა ლიამ — ჩვენმა პარლამენტმა, რომელიც რესპების სახით ლიბერასტების ნაკლებობას არ უჩივის, სახალხო დამცველად, მაინც უჩა ნანუაშვილი არჩია, რომელმაც უკვე მოასწრო და 8 თებერვალს დაგვამახსოვრა თავი ჩაგრული ნაცბანდის გამოქომაგებით.

როგორც არსენას ვაჟკაცობა აბანოში გამოჩნდა, ისე გამოჩნდება უჩას „ვაჟკაცობა“ მაის-ივნისში, ანუ ბარაკ ობამას მიერ სპეციალურად პედერასტებისთვის დადგენილ დროს, როდესაც მსოფლიო მასშტაბით უნდა გაიმართოს გეი-აღლუმები, რაც, სავარაუდოდ, თბილისშიც მოხდება და ვნახავთ, როგორც მატროსოვი ამბრაზურას, ისე გადაეფარება უჩა სახალხო დამცველი ქართველ პედერასტებს!

ერთი სიტყვით: ათიათასობით „თურქი მესხების“ ექსპანსია, ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონება, სომხურ-აზერბაიჯანული ენებისთვის რეგიონალური სტატუსის მინიჭება, სომეხთა და შემდეგ აზერბაიჯანელების გენოციდის ძეგლების დადგმა და კიდევ ვინ იცის, ხვალ რა ვალდებულებებს შეგვახსენებენ ჩვენი ევროპელ-ამერიკელი „მეგობრები“, რომელთაგან პირველებმა, ანუ ევროპელებმა ყოველგვარი დასაშვები ზღვარი გადალახეს სახალხო პარტიის მარტენს-ბაროზოების სახით — ქართველები მზად ვართ, რომ ევროინტეგრაციის სანაცვლოდ, ანუ იმისთვის, რომ ამაყდ განვაცხადოთ — „მე ვარ ქართველი, მაშასადამე ვარ ევროპელი“, ამ იაფფასიანი მატრაბაზობის უფლებისათვის, ასეთი ძვირი ფასი გადავიხადოთ?

ევროპის სახალხო ლიბერასტული პარტია ვახსენეთ და ამ მიმართებით იმედს იძლევა პრემიერ ივანიშვილის მკაცრი პასუხი ამ ლიბერალ-ტაკიმასხარების მიმართ, რომ ზემოთ ხსენებული საფრთხეების მიმართაც შეუვალი იქნება ბიძინა ივანიშვილი!

მოკლედ, ვნახოთ რა იქნება, მაგრამ მანამდე ერთი იმედის მომცემი რამ, საზღვარგარეთაც მოხდა რომის ახალი პაპის არჩევის სახით!

პირველად პაპიზმის ისტორიაში, არაევროპელი პაპი აირჩია წმინდა კონკლავმა და უფრო მეტიც, პაპი ფრანცისკი, იეზუიტთა ორდენის წევრია. ორდენის, რომელიც გამოირჩევა სიმკაცრით ყოველგვარი გარყვნილების, პირველ რიგში სოდომ-გომორის ცოდვათა, ანუ პედერასტობის მიმართ!

არადა, როდესაც ბენედიქტე XVI გადადგა, მაშინვე აღავლავდნენ მსოფლიო ლიბერტარიანული ძალები, რომ ახლა სულ სხვა, ლიბერალური მსოფლიოა და დროა, რომ პაპის ტახტზედაც ლიბერალი კარდინალი დაჯდესო, ანუ, სხვა სიტყვებით, იმის იმედით ელოდნენ თეთრი კვამლის ამოსვლას, რომ ერთსქესიანი ქორწინებების პანდემიას, რომელიც მთელს მსოფლიოშია მოდებული, ბოლოს და ბოლოს, ვატიკანიც მისცემდა კურთხევას და „შეყვარებულ წყვილებს“ კათოლიკურ ეკლესიებში დასწერდნენ ჯვარს!

მაგრამ, ეტყობა კათოლიკურ კონსერვატულ წრეებშიც გააცნობიერეს, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, რადგანაც ის, რაც დღეს ხდება მსოფლიოში „ლგბტ“-პედერასტების ტოტალური შეტევის სახით ყოველივე ზნეობრივი ნორმების მიმართ, სხვა არაფერია, თუ არა, დედამიწის მოსახლეობის თვითგანადგურება!

ამ მხრივ კი ახალ პაპს ჯერ საკუთარ სამშობლოში აქვს წესრიგი დასამყარებელი, არგენტინაში, სადაც ერთსქესიანი ქორწინებები დიდი ხნის დაკანონებულია!

მოკლედ, ვატიკანს თავის გზაზე გაუმარჯოს და ჩვენ კი ჩვენსას მივხედოთ, რადგანაც სამამლო-სავაჟკაცო, როგორც ჩანს, ბევრი გვექნება და ვინძლო დავამტკიცოთ დიდი ლადოს გულიდან ამონახეთქი, რომ სიმართლეა და არა პოეტის ფანტაზიის ნაყოფი:

„ჩვენ ვაჟკაცობა ძველთაგან მოგვდევს, ყველამ გაიგოს, ყველამ იცოდეს“...

**დავით მხეიძე**

## ალიან-ჩალიანი

# საფრანგეთში ინტერპოლის მიერ ძებნილი დააკავეს

**საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს მიერ მიწოდებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, საფრანგეთის სამართალდამცავებმა თბილისის ინტერპოლის მიერ წითელი ცირკულარით საერთაშორისო ძებნილი ვახტანგ გვრიტიშვილი დააკავეს.**

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ვახტანგ გვრიტიშვილს ბრალად ედება ანგარებით ადამიანის გატაცება, ყაჩაღობა წინასწარი შეთანხმებით, პირთა ჯგუფის მიერ, ბინაში შეღწევით თავდასხმა მოქალაქის პირადი ქონების დაუფლების მიზნით, რასაც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობა ერთვის თან. ასევე, ის ბრალდებულია დამამძიმებელ გარემოებებში ორი ან მეტი ადამიანის განზრახ მკვლელობაში, რომელიც ჩადენილია განსაკუთრებული სისასტიკით და ისეთი საშუალებით, რომელიც სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით მრავალი ადამიანის სიცოცხლისთვის საშიშროებას წარმოადგენს.**

**როგორც უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, 1994 წლის იანვარში ვახტანგ გვრიტიშვილმა თანამზრახველებთან ერთად ფულის გამოძალვის მიზნით ნეშან მინასიანის შვილი, ვაზგენ მინასიანი გაიტაცა. ვაზგენ მინასიანი მოგვიანებით გათავისუფლებული იქნა მშობლების მიერ 75 000 აშშ დოლარის გადახდის შედეგად. იმავე წლის თებერვალში დამნაშავეებისთვის ცნობილი გახდა, რომ ნეშან მინასიანმა შეიტყო მისი შვილის გამტაცებლების ვინაობის შესახებ და კვალის დაფარვის მიზნით, ვ. გვრიტიშვილი თანამზრახველებთან ერთად, 1994 წლის 19 თებერვალს, ყაჩაღურად თავს დაესხა მინასიანების ოჯახს და ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლა ნეშან მინასიანი, ფლორა მინასიანი და ვაზგენ მინასიანი, ხოლო ამ უკანასკნელის დამ — გაიანე მინასიანმა ჯანმრთელობის დაზიანება მიიღო.**

**2011 წლის 15 სექტემბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, ვახტანგ გვრიტიშვილს აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა, ხოლო 2011 წლის 3 ნოემბრიდან, იგი თბილისის ინტერპოლის მიერ წითელი ცირკულარით იძებნებოდა. ამჟამად დაკავებული გადაყვანილია საფრანგეთის საექსტრადიციო ციხეში და მის მიმართ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი პროცედურები მიმდინარეობს.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# დოკუმენტი, რომელიც ჩვენს ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგება

სომხური ენისთვის რეგიონული ენის მინიჭების საკითხს ჯავახეთის სომხები გარკვეული პერიოდულობით ყოველთვის აყენებდნენ. თუმცა, აქამდე ამას რომელიმე სომხური ორგანიზაცია – „ჯავახკი“, „ვირქი“ და ა. შ. აკეთებდა. ახლა პირველად მოხდა, რომ ამ მოთხოვნის წამოყენება ჯერ რესპუბლიკური პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის, შემდეგ კი ახალქალაქის საკრებულოს დონეზე მოხდა.

ხელისუფლება თავს ისე იჭერს, თითქოს, სიტუაციას ბოლომდე აკონტროლებს და შეშფოთების საფუძველი არ არსებობს, დღევანდელი ოპოზიცია – ნაციონალური პარტია კი განგაშს ტეხს და რაც შეიძლება მუქ ფერებში ხატავს სურათს, რომლის შექმნაში მას ლომის წილი უდევს.

რა ხდება სინამდვილეში ჯავახეთში?

მცირეოდენი ისტორიული ექსკურსი:

1992 წლის 5 ნოემბერს ევროსაბჭოს წევრმა ქვეყნებმა სტრასბურგში მიიღეს „ევროპული ქარტია რეგიონულ და უმცირესობათა ენების შესახებ“, ხოლო 1995 წლის 1 თებერვალს აქვე ხელი მოეწერა „ჩარჩო კონვენციას ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის შესახებ“. კონვენციის შემუშავების დროს ევროსაბჭომ ყურადღება გაამახვილა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) მიერ 1993 წელს მიღებული „ვენის დეკლარაციის“ დებულებებისა და პრინციპების გათვალისწინების აუცილებლობაზე.

ქარტიისა და კონვენციის თანახმად, ავტოქტონ, აბორიგენ ეთნიკურ თუ ენობრივ-კულტურულ უმცირესობას კომპაქტური განსახლების ადგილებში, სადაც ისინი უმრავლესობას შეადგენენ, უნდა გააჩნდეს საკუთარ ენაზე საქმის წარმოების, უმაღლესი სასწავლებლების, სკოლებისა და ბაგა-ბაღების გახსნის უფლება (იხ. ქარტიის მე-8 მუხლის I ე პუნქტი); იგივე მოთხოვნას შეიცავს კონვენციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმადაც, ქვეყანაში ტრადიციულად მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობად აღიარებულ ეთნიკურ ჯგუფს, რომელიც მოცემულ რეგიონში დღესაც უმრავლესობას წარმოადგენს, უფლება უნდა ჰქონდეს სახელმწიფო დაწესებულებებში საქმის წარმოება თავის ენაზე წარმართოს.

აღნიშნული დოკუმენტების მიღება არაერთი სახელმწიფოსთვის გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული. სწორედ ამიტომ ქარტიასა და კონვენციას დღემდე სულ 44 სახელმწიფო შეუერთდა, მათგან კი მხოლოდ 39 მოახდინა მათი რატიფიცირება. დოკუმენტების რატიფიკაცია დღემდე არ მოუხდენიათ ბელგიის, საბერძნეთის, ირლანდიის, ლუქსემბურგის პარლამენტებს. ისეთი სტატუსის მქონე სახელმწიფო კი, როგორიც საფრანგეთია, ამ დოკუმენტებს დღემდე საერთოდ არ შეერთებია.

საქმე ისაა, რომ სტრასბურგის დოკუმენტებში მოხსენიებული ტერმინები – „ავტოქტონი, „აბორიგენი“, „სახელმწიფოში ტრადიციულად მცხოვრები უმცირესობები“ „ეროვნული უმცირესობა“, „ენა“, „დიალექტი“, „ენის სახესხვაობა“ და ა. შ. განსხვავებული ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა. მაგალითად, ექსპერტთა მნიშვნელოვან ნაწილის მიაჩნია, რომ ტერმინ „ეროვნული უმცირესობის ენის“ ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ მხოლოდ იმ ეთნოსის ენა, რომელიც მხოლოდ მოცემულ რეგიონში გამოიყენება. ცხადია, ამ განმარტებით, სომხური ენა ეროვნული უმცირესობის ენად ვერ ჩაითვლება. ექსპერტთა ნაწილის აზრით, ეროვნულ უმცირესობად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ავტოქტონი ერი, რომელსაც გაქრობის საფრთხე ემუქრება და ა. შ.

დასახელებული ტერმინების შინაარსის თაობაზე დისკუსიების დროს ევროპის ქვეყნებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. ამის გამო სტრასბურგის დოკუმენტების ავტორებმა მათში მოხსენიებული ტერმინების განმარტება-გააზრება დოკუმენტებზე ხელმომწერი ქვეყნების კომპეტენციად გამოაცხადეს. დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, სახელმწიფო, კონვენციასთან მიერთების მომენტში აკეთებს განცხადებას, რომელშიც განმარტავს დოკუმენტში დაფიქსირებული ტერმინების მისეულ გაგებას. ასე მოიქცნენ ავსტრია, ესტონეთი, გერმანია, ლუქსემბურგი, რუსეთი, სლოვენია, შვეიცარია. სახელმწიფოთა ნაწილმა კი (დანია, მაკედონია და სხვ), პირდაპირ დაასახელეს თავიანთ სახელმწიფოებში შემავალი ის ეროვნული უმცირესობები, რომლებზეც გაავრცელებდნენ ჩარჩო-კონვენციის დებულებების მოქმედებას.

როგორ მოიქცა საქართველო?

ევროსაბჭოს სრულუფლებიან წევრად გახდომის (1999) შემდეგ, 2000 წელს საქართველოს მთავრობამ, ყოველგვარი დათქმის გარეშე, ხელი მოაწერა სტრასბურგის ქარტიასა და კონვენციას. 2005 წლის 13 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა კონვენციის რატიფიცირება, ქარტიის რატიფიცირება კი გადაიდო ქართულ საზოგადოებაში გაჩენილი მძლავრი საპროტესტო მუხტის გამო.

როგორც ვხედავთ, საქართველო ამ შემთხვევაშიც ტრადიციისამებრ შეეცადა „პაპზე უფრო მეტ კათოლიკედ“ წარმოეჩინა თავი და ევროპის დემოკრატიული ქვეყნებისთვის სწორედ დემოკრატიის გზაზე გადაესწრო. არადა, სტრასბურგის დასახელებული დოკუმენტების რეალიზაციიდან მომდინარე, საფრთხე საქართველოში გაცილებით რეალურია, ვიდრე დასავლეთ ევროპის რომელიმე სახელმწიფოში. ევროპულ სახელმწიფოებში სხვა კონტინენტიდან ჩამოსული პირებიც კი ქვეყნის მოქალაქეობის მიღების შემდეგ ამ სახელმწიფოს ავტოქტონი, სახელის მიმცემი ერის შემადგენელ ნაწილად ითვლებიან. მაგ. საფრანგეთში ტერმინი „ფრანგი“ მხოლოდ ეთნიკურ ფრანგს კი არა, საფრანგეთის მოქალაქესაც ნიშნავს. ასეა დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებშიც.

ამ მხრივ პრინციპულად განსხვავებული ვითარება გვაქვს საქართველოში. აქ მცხოვრები

## დიდი ოვანეს თუმანიანის მონატრება

სომხები, აზერბაიჯანელები, ოსები, რუსები და სხვა ეროვნული უმცირესობები თავს ქართველი ერის ნაწილად ვერ აღიქვამენ. ამას მრავალი მიზეზი განაპირობებს, რომელთა შორის მთავარი ის არის, რომ საქართველო ბოლო ორი საუკუნის მანძილზე დიდი იმპერიის შემადგენელი ნაწილი იყო, რის გამოც საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობები თავს არა საქართველოს მოქალაქეებად, არამედ ამ დიდი იმპერიის მოქალაქეებად წარმოიდგენდნენ. ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ეროვნული უმცირესობების ისტორიული სამშობლოების სიახლოვეც და ა. შ. ჯერ მეფის რუსეთის, შემდეგ კი საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში მყოფ საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების წინაშე არ იდგა ქართული ენის შესწავლის საჭიროება. პირიქით, სწორედ რუსული ენის კარგი ფლობა აძლევდა მათ ქართველების უმრავლესობასთან უპირატესობას სამსახურებრივი კარიერის გზაზე, რადგან დაწესებულებების უმრავლესობაში საქმის წარმოება რუსულად მიმდინარეობდა, ქართველების დიდი ნაწილი კი ქართული განათლების გამო რუსულში მოიკოჭლებდა. ქართული ენის, ქართული ლიტერატურისა და კულტურის სათანადო ცოდნის გარეშე კი საერთო-ქართული ცნობიერების, საქართველოსადმი კუთვნილების გრძნობის გამომუშავება ვერ ხერხდებოდა. სწორედ ამიტომ საქართველოში მცხოვრები სომხების დიდი ნაწილი თავიანთ სამშობლოდ მხოლოდ ისტორიულ სამშობლოს – სომხეთს მიიჩნევდა, აზერბაიჯანელების ერთი ნაწილი კი სულაც საჩივრებს პირდაპირ აზერბაიჯანის კომპარტიის ცკ-ში აგზავნიდა, რადგან თავს ამ რესპუბლიკის მოქალაქედ თვლიდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში ეთნიკური უმცირესობების რაოდენობა შემდეგნაირად გამოიყურებოდა: სომხები – 8,1 %, რუსები – 6,3 %, აზერბაიჯანელები – 5,7 %. 2002 წლისთვის აზერბაიჯანელები ყველაზე დიდ უმცირესობად იქცნენ (6,5 %), შემდეგ მოდიან სომხები (5,7 %).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათი დიდი ნაწილი კომპაქტურად არის დასახლებული და ისტორიულ სამშობლოს ესაზღვრება. კომპაქტური დასახლების ადგილებში ისინი განათლებას მშობლიურ ენაზე ღებულობენ, ქართველ მოსახლეობასთან ნაკლები კონტაქტის გამო კი სახელმწიფო ენას პრაქტიკულად ვერ ფლობენ. ეს გარემოება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ქართულ საზოგადოებაში სომხებისა და აზერბაიჯანელების ინტეგრაციის დაბალ ხარისხს.

სხვათა შორის, სომხები კომპაქტურად სახლობენ რუსეთში, აშშ-ში და სხვაგანაც. მშობლიურ ენაზე სკოლები კი მხოლოდ საქართველოში აქვთ. მოსკოვში, როსტოვში, არმავირში, ლოს-ანჟელესში სომხები მშობლიურ ენაზე სკოლების გახსნას არც კი ითხოვენ, რადგან მშვენივრად ესმით, რომ რუსეთში რუსული ენისა და შეერთებულ შტატებში ინგლისურის კარგად ფლობის გარეშე მათ არანაირი პერსპექტივა არ აქვთ.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ აქ მცხოვრები ეროვნული უმცირესობების წინაშე იგივე პრობლემა მთელი სიმწვავით დადგა. ახლა სახელმწიფო ენის კარგად ფლობის გარეშე კარიერული წინსვლა უკვე საქართველოშიც შეუძლებელი გახდა. გამოსავალი სამია: პირველი – ემიგრაცია, მეორე – ისეთი მიკროგარემოს შექმნა, სადაც ქართულის გარეშეც იოლად გახვალ, ანუ საქმის წარმოების ენად რეგიონში ეროვნული უმცირესობის ენის გამოცხადება, მესამე – სახელმწიფო ენის სათანადოდ შესწავლა.

უნდა ითქვას, რომ ჯავახეთში ადგილობრივი სომხური მოსახლეობის აქტივობა ზემოთ დასახელებული სამივე მიმართულებით შესამჩნევია. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ გაძლიერდა მიგრაცია (განსაკუთრებით სეზონური მიგრაცია), სტატიის თავში უკვე აღვნიშნეთ, რომ დროდადრო აქ გაჟღერდება ხოლმე ავტონომიის ან სომხური ენის რეგიონულ ენად გამოცხადების მოთხოვნა, მკვეთრად გაიზარდა ქართული ენისადმი ინტერესიც. დღეს სულ უფრო მეტი სომეხი ეროვნების ბავშვი სწავლობს ქართულ სკოლებში და



უმაღლეს სასწავლებლებში. სომეხი მშობლები ინგლისური ენის მსგავსად თავიანთ შვილებს ახლა ქართული ენის რეპეტიტორთანაც დაატარებენ. რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ინიციატივით აზერბაიჯანულ და სომხურ სკოლებში ინერგება ბილინგვური სწავლებაც.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ქართულ სკოლებში სრული ტოლერანტული სულისკვეთება სუფევდეს განსხვავებული აღმსარებლობის მქონე ბავშვების მიმართ. გრიგორიანული, კათოლიკური თუ მაჰმადიანური აღმსარებლობის მიმდევარ მშობლებს არ უნდა ეშინოდეთ, რომ ქართულ სკოლაში მათი შვილები მართლმადიდებლური წნეხის ქვეშ მოხვდებიან. ქართულმა სკოლებმა კონფესიური ნეიტრალიტეტი უნდა დაიცვან. სხვაგვარად ისინი ქვეყანაში სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის მუხრუჭის როლში მოგვევლინებიან.

ქართული სახელმწიფო ნეგატიურად არის განწყობილი ქვეყნის ეთნოფედერალიზაციის მიმართ. და ეს სავსებით გასაგებია. ქვეყნის სამი ავტონომიიდან ორში უკვე მოხდა სისხლიანი კონფლიქტები და ისინი დროებით მოწყვეტილნი არიან ქვეყნისგან. მესამეში – აჭარაში, სეპარატისტული პროგრამა ღიად არ წამოუყენებიათ, მაგრამ საქმით ეს კეთდებოდა და ცენტრს ამ რეგიონის ძველ ხელმძღვანელობასთან მუდმივად დაძაბული ურთიერთობა გააჩნდა. ამიტომ ქართველების შიში, რომ ეთნოეროვნულ ნიადაგზე შექმნილი ავტონომიების არსებობა საფრთხეს შეუქმნის ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, სულაც არ არის საფუძველსმოკლებული. ეთნოფედერალიზაციის მიმართულებით სიარული მხოლოდ გააღრმავებს ქართული საზოგადოების სეგმენტაციას, გააძლიერებს სეპარატისტულ განწყობილებებს. ამ საშიშროების ხარისხი კი მით უფრო მაღალია, რაც უფრო ზუსტად ემთხვევა ფედერაციის სუბიექტის საზღვრები ეთნოუმცირესობების კომპაქტური დასახლების საზღვრებს. მით უმეტეს, თუ ეს საზღვრები ეთნოუმცირესობის ისტორიული სამშობლოს საზღვრებს ემიჯნება.

ამიტომაც ევროპული ქარტიისა და ჩარჩო კონვენციის უპირობო მიღება ქართული სახელმწიფოსთვის სერიოზული საფრთხის შემცველია. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ დოკუმენტების რატიფიკაციას და პრაქტიკაში რეალიზაციას ჩვენგან სწორედ იმ ქვეყნების ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები მოითხოვენ, რომელთა სახელმწიფოები თვითონ ჯერაც არ მიერთებიან აღნიშნულ დოკუმენტებს.

ქართულ სახელმწიფოს, ქართველ ხალხს არაერთხელ დაუფიქსირებია თავისი ნეგატიური დამოკიდებულება ეთნოფედერალიზაციის მიმართ. ევროპაში მცხოვრები ეროვნული უმცირესობები შეიძლება მხოლოდ ოცნებობდნენ უფლებების იმ ხარისხზე, რომელიც საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს გააჩნიათ. მაგალითად, საქართველოში ეროვნულ უმცირესობათა ენებზე ასეულობით სკოლა ფუნქციონირებს და ყველა მათგანს სახელმწიფო ბიუჯეტი აფინანსებს. ეროვნულ უმცირესობათა კომპაქტური დასახლების რეგიონებში გახსნილია სომხური და აზერბაიჯანული სახელმწიფო თეატრები და ა. შ. ეს ყველაფერი სრულიად საკმარისია ეროვნული კულტურისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და შემდგომი განვითარებისთვის. წარმოება-დაწესებულებებში არასახელმწიფო ენაზე საქმის წარმოების უფლება კი ქვეყნის ფედერალიზაციის, მისი სეგმენტაციის გზაზე გადადგმული მეტად საშიში ნაბიჯი იქნება. ამის მიუხედავად, ჯავახეთის სომხების ნაციონალისტურად განწყობილი ნაწილი ჯიუტად აგრძელებს ქართული სახელმწიფოსთვის ამ სახიფათო მოთხოვნის წამოყენებას, მასზე რეაგირება კი მხოლოდ ცენტრალურ ხელისუფლებას და ქართველ ინტელიგენციას უწევს. სამართლიანი კი იქნება, რომ ქართული სახელმწიფოსთვის ეს სახიფათო მოთხოვნა თვით ჯავახეთის სომხობამ, თბილისის სომხურმა ინტელიგენციამ დაგმოს.

როგორ არ გავიხსენოთ აქ დიდი სომეხი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, ქართველი ხალხის ჭეშმარიტი მეგობარი ოვანეს თუმანიანი, რომელმაც 1918 წლის მიწურულს სომხეთსა და საქართველოს შორის ამტყდარი სამარცხვინო ომის დროს ერევანში ჩარჩენილ თავის ქალიშვილებს მისწერა: თუ ქართველების წინააღმდეგ ომში რაიმე ფორმით მონაწილეობას მიიღებთ, დაგწყევლით და თქვენს მამობაზე უარს განვაცხადებო.

მას შემდეგ საუკუნე გავიდა, ქართველები კი ამაოდ ველოდებით მოძმე სომეხ ხალხში ახალი ოვანეს თუმანიანის გამოჩენას.

საქართველომ განვითარების სრულიად უნიკალური გზა განვლო. ამიტომ მას თავისი სპეციფიკური ეროვნული ინტერესები აქვს და ქართული სახელმწიფო, პირველ რიგში, თავის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში სწორედ ამ ინტერესებით უნდა ხელმძღვანელობდეს. არავის არა აქვს უფლება თავს მოგვახვიოს ისეთი დოკუმენტი, რომელიც ჩვენს ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგება.

**უჩა ბლუაშვილი**

**ინფორმაცია**

## ნაგებელებმა გზა გადაკეტეს

**ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲜᲘᲡ მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგების მოსახლეობამ საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით საპროტესტო აქცია გამართა. აქციის მონაწილეები აცხადებენ, რომ სოფელში წლების განმავლობაში არ არის სასმელი წყალი, ბუნებრივი აირი, გზა, საბავშვო ბაღი, ასევე მიწის ნაკვეთები და სახლები პრივატიზებული არა აქვთ. ნაგების მოსახლეობამ „ჰაიდელბერგ ცემენტის“ რუსთავის ქარხნისკენ მიმავალი გზა გადაკეტა და საწარმოს ერთ-ერთი კარიერიდან წიაღისეულით დატვირთულ მანქანებს მოძრაობის საშუალებას არ აძლევდა. სოფლის მცხოვრებთა თქმით, სოფლის გზაზე მძიმე მანქანების მოძრაობის შედეგად, არათუ მსუბუქი მანქანით, არამედ უამინდობაში ფეხით გადაადგილებაც კი შეუძლებელია. ამასთან, მათი თქმით, ნაგები ეკოლოგიური საფრთხის წინაშეა, რადგან ცემენტის ქარხნის გამონაბოლქვი საშინლად აბინძურებს სოფელს.**

**აქციის მონაწილეებს „ჰაიდელბერგ ცემენტის“ რუსთავის ქარხნის სატრანსპორტო სამსახურის უფროსი ვანო შარიქაძე შეხვდა და მათგან გზის გახსნა მოითხოვა. შარიქაძის თქმით, საწარმო ყოველწლიურად, გაზაფხულზე ატარებს აღნიშნული გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს და წელსაც შეაკეთებენ გზას. აქცია შეწყდა, თუმცა სოფლის მოსახლეობა აცხადებს, რომ მოთხოვნების შესრულებამდე პროტესტს კვლავ გამოხატავენ და გზებს გადაკეტავენ.**

ინტერპრესი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

№52. ხუთშაბათი, 21 მარტი, 2013 წელი.

# საქართველო საექსპერიმენტო პოლიგონია?

**საქართველოს დამოუკიდებლობის 21-ე წლისთავზე, როგორც იქნა, ვიგრძენი სასიამოვნო ჟრუანტელი ორგანიზმისა, საწინააღმდეგო სქესისადმი (ზოგს პირიქით), რომ არის მიმართული, თუმცა ჩემი გრძნობა და სიყვარული უფრო მაღალია, უფრო ღვთაებრივი, ვიდრე „პრიმიტიული“ – კაცისა და ქალისა (ან შებრუნებით). ჩემი სიყვარული აბსტრაქტულია, ვირტუალური, უსულო საგნისადმი მიმართული. გამოგიტყდებით იმაშიც, რომ ეს გრძნობა არა ერთისადმი, არამედ ორისადმი მაქვს, ორი ორგანიზაციისადმი – ნატო და ევროკავშირი რომ ჰქვიათ.**

დიდი ძალა აქვს შთაგონებას, გამუდმებულ მტკიცებას იმისა, რომ ეს ორგანიზაციები, არა მარტო მე, არამედ საქართველოში დარჩენილმა ორმა კაკალმა ქართველმაც უნდა იწამოს, შეიყვაროს. ასე სურს ხელისუფლებას, თავის მოსატყუებლად, ჩვენივე არჩეული რომ ჰქვია. შეგნებულად არ გამოვყოფ გუშინდელსა და დღევანდელს, ვინაიდან ამ საკითხში ისინი ტყუპის ცალივით გამოიყურებიან და არა მარტო ამ საკითხში, სხვაშიც იმ იგივეობასთან გვაქვს საქმე, ცხრა წლის განმავლობაში, თავი რომ გადაგვჭამა.

მეათე წელი ინტენსიური შეტევისა ჩვენს გონებაზე გრძელდება – უფრო აგრესიულად, დოკუმენტურად – საქართველოს პარლამენტის რეზოლუციის სახით. რა არ იღონა წინა ხელისუფლებამ მსგავსი დოკუმენტის მიღებისთვის – ვერ მიიღო. თუმცა, რაში სჭირდებოდა დასავლურ მორევში ისედაც თავით გადაშვებულ ნაციონალებს? მით უმეტეს, როდესაც სხვადასხვა დოკუმენტებში მარგალიტებივით ჰქონდათ მიმობნეული ფიცის მსგავსი დაპირება? მათ არ სჭირდებოდათ. „ოცნებას“ სჭირდება. „ოცნებამ“ უნდა დაუმტკიცოს დასავლეთს, რომ ის ისევე ეტრფის მას, როგორც ნაცები ან უფრო მეტად.

საქართველო და ხალხი, უფრო სწორად, მომავალი არავის გახსენია. რეზოლუციის მიხედვით, დღევანდელი, ხვალინდელი, ზეგინდელი და ა.შ. საქართველოს ოცნება, ორიენტაცია - ნატო და ევროკავშირია, მიუხედავად იმისა, იარსებებენ თუ არა ეს ორგანიზაციები. ფიცისდა მიხედვით, რომც არ იარსებონ, საქართველომ მაინც იქითკენ უნდა იაროს. აკი ბრძანა ალასანიამ – ავღანეთში ჩვენი ჯარი 2014 წლის შემდეგაც დარჩებაო, ანუ მას შემდეგ, რაც აშშ-ის ჯარი დატოვებს ავღანეთს. რომის პაპზე უწმინდესია ჩვენი ხელისუფლება, გუშინდელი და დღევანდელიც, დასავლეთთან დადებულ ფიცს ხომ არ გატეხს?! საკუთარ ხალხთან ყველაფერი შეიძლება. ის ხომ სტატისტის როლშია – არჩევნების წინ რომ იხსენებენ.

**კეთილი, მაგრამ არის კი დღევანდელი პარლამენტი ისეთი ინტელექტის, ანალიტიკური აზროვნების მქონე, რომ ერთობ „თათარიახნად“, თანაც თავდაჯერებულად გადაწყვიტოს საქართველოს მომავალი თაობების ბედი?! გლობალიზებულ, ცვალებად მსოფლიოში, სამარადისო კურსის წინასწარ განსაზღვრა, სავალდებულოდ ჩათვლა, არათუ რისკია, უპატივცემლობაც არის დღევანდელი და მომავალი თაობების მიმართ.**

დიახ! ხელისუფლებას, ძველს და ახალს, სურს ნატო, ევროკავშირიც, მაგრამ სურს კი ხალხს ის, რაც ხელისუფლებას? სურსო, გვიმტკიცებს პარლამენტის რეზოლუცია: „ხელმძღვანელობს რა საქართველოს საზოგადოების ინტერესებით, მათ შორის 2008 წლის პლებისციტის შედეგებით გამოხატული ნებით“-ო.

მაინც რა ისეთი ნება გამოხატა საქართველოს საზოგადოებამ 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე მიტმასნილ ნატოში შესვლის პლებისციტში? ან ვის ჰქონდა თავი ამ საკითხისთვის ჯეროვანი ყურადღება დაეთმო? არც არავის, მათ შორის არც ნაცებს. მათი მთავარი ამოცანა სააკაშვილის გამარჯვება იყო. დანარჩენი საქართველოსთვის – სააკაშვილის გაშავება.

**თუ ვინმეს სურდა პლებისციტზე დადებითი პასუხის მიღება – აშშ-ის საელჩო და ნაცთა მეგობარი ბრაისა იყვნენ. სწორედ მათ არ მოეწონათ პლებისციტის შედეგები და მოარული ხმების მიხედვით, მხარდამჭერთა რიცხვი გასამმაგდა.**

სავალალო გამოდგა იმ არჩევნების შედეგები საქართველოს საზოგადოებისთვის. სააკაშვილმაც „გაიმარჯვა“ და ნატომაც. რომ არა დასავლელთა მხარდაჭერა, სააკაშვილი არ გაპრეზიდენტდებოდა, არც 2008 წლის ომი იქნებოდა და არც დაკარგული ტერიტორიები. 2008 წლის ომისწინა პერიპეტიების მიხედვით, დასავლეთის, კერძოდ აშშ-ის წვლილი ომის დაწყებაში მნიშვნელოვანია. და ესეც რომ არ იყოს, სააკაშვილის გაპრეზიდენტებაში ხომ არის?! ასეთ ვითარებაში, რამდენად უნდა მიყვარდეს დასავლეთი?

ზემოთ ნატოსა და ევროკავშირისადმი ვირტუალური სიყვარული ვახსენე. ვირტუალური იმიტომ, რომ არ ვიცი, რა არის, მაგრამ რახან ზემოდან ჩამომძახეს, უნდა მიყვარდეს. დიდი ილიასი არ იყოს: „მე შენ გიბრძანებ, მუხას ვაშლი ასხია-მეთქი!“ და პატარას ნება აქვს მიუგოს: „მაქვს პატივი, მოგახსენოთ, რომ დღეს, ჩვენმა მუხამ ვაშლი დაისხა, ბრძანებისამებრ თქვენისა“.

ნატოში შესვლის თემაზე საუბარი, მით უმეტეს საგნობრივი განსჯა საქართველოს საზოგადოებაში არ ჩატარებულა, თუ არ ჩავთვლით, ასლან აბაშიძის თანხმობით ბათუმში გამართულ საერთაშორისო კონფერენციას, თვით ნატოს ექსპერტების მონაწილეობით.

სააკაშვილის ზეობისას ამ თემაზე საუბარი არათუ შეუძლებელი, სახიფათოც იყო, რამეთუ ნატოს მოწინააღმდეგეებს უმალ მოღალატის სახელს მიაწებებდნენ. არც რეპრესიები იყო უცხო. ხელისუფალთა და მის მომხრეთა მხრიდან გამოვლენილი იმჟამინდელი აგრესია დღესაც ძალაშია. არ გინდა ნატო? აჰა, რუსეთი გინდა, ოკუპანტი, ეშვებიანი რუსეთი?! ნეიტრალიტეტიც პრორუსულად აღიქმება.

დემოკრატია არ ჰქვია იმას, როდესაც ხელისუფლება ხალხს ატენის რაღაცას, რაც მან (ხალხმა) არ იცის. ნაცვლად იმისა, რომ ხელისუფლებამ ხალხს განუმარტოს ნატოს სიკეთეების თაობაზე, მოისმინოს მისი აზრი ამასთან დაკავშირებით, წინასწარ, ხალხთან შეთანხმების უგულებელყოფით აცხადებს, რომ ნატოში შესვლა ხალხის სურვილია.

ხალხში სურვილის გაჩენა, ინფორმაციის ქონასაც უკავშირდება, რამეთუ სწორედ ინფორმაციის გადამუშავების, გაანალიზების შედეგად ხდება აზრის გამოთქმა, თუნდაც კენჭისყრის სახით. სწორედ ეს „მარტივი“ პროცედურა დაირღვა 2008 წლის პლებისციტის დროს.

2007 წლის ბობოქარი შემოდგომის და მანამდე არც ნაკლები ბობოქარი თვეების განმავლობაში ხელისუფლებას თავში არ მოსვლია აღნიშნულ თემაზე სერიოზული დისკუსიის მოწყობა, ხალხის აზრის მოსმენა.

ტელეეთერში „ნატო-ნატოს“ განუწყვეტელი ძახილი, უფრო ცალ კარში თამაშს ჰგავდა და არა შეთავაზებას, დიალოგს – იმას, რაც მსგავს საკითხებზე სისტემატურად ხდება იმ ევროკავშირში, საითკენაც სიტყვით მივექანებით.



**დემოკრატია, უპირველესად, ის არის, როცა ადამიანი თავისი გონების კარნახით გააკეთებს არჩევანს. დემოკრატია არ არის, როდესაც ხელისუფლება გაძალებს ხმის მიცემას, უფრო მეტიც შენს მაგივრად აცხადებს – დიახ! ხალხმა ასე გადაწყვიტაო.**

სწორედ ასეთ დემოკრატიასთან გვაქვს საქმე – 2008 წლის პლებისციტით. მას შემდეგ, მეხუთე წელიწადია ქართული პოლიტიკა პერმანენტულად, ისტერიულად გაჰყვირის, ხალხმა გადაწყვიტაო.

ხალხის გადაწყვეტილება აისახა რეზოლუციაში, რომელიც სამოთხის კარის მთავარი გასაღებია. ხელისუფლების მიხედვით, პასუხისმგებლობა ხალხს ეკისრება და არა მას, ვინაიდან პლებისციტზე მან (ხალხმა) დაუჭირა მხარი ნატოში შესვლას.

**დავუშვათ, არ გაამართლა ნატო-ევრიკავშირმა, ხელისუფლება უყოყმანოდ იტყვის, მე რა შუაში ვარ, ხალხმა გადაწყვიტაო და მართალიც იქნება, ვინაიდან ფალსიფიცირებული, მაგრამ შემდეგ გაპრიალებული პლებისციტის მასალები – ამის დასტური იქნება.**

**მაშინ არავის გაახსენდება ბუშის, ბრაისას ან სხვა იქაურთა სახელები. სააკაშვილისა და მისი ნაცების სახელებიც, ცუდი სიზმარივით, მივიწყებული იქნება. აღარც პლებისციტში მონაწილე ხალხი იქნება. სხვა ხალხი იქნება – ფაქტის წინაშე მდგარი, წინაპართა აუგად გამხსენებელი.**

გრძელვადიანი გადაწყვეტილებების მიღება, მით უმეტეს მყვირალა დოკუმენტებში ჩაწერა, ის ყულფია, რომელმაც შესაძლოა საკუთარი თავის ჩამოხრჩობის ფუნქცია იტვირთოს. მიკვირს აუწყობელი, დაულაგებელი **ქვეყნის პოლიტიკოსთ რატომ უნდა გასჩენოდათ მსგავსი დოკუმენტის შექმნის სურვილი? იმიტომ ხომ არა, რომ თავიანთი გასაკეთებელი საქმე სხვას აჰკიდონ, ისინი კი წამოგორდნენ ჩეროში და დატკბნენ ამქვეყნიური სიამოვნებით?!**

სხვა მარტივი მიზეზიც არის – ისინი, ვინც ამ და სხვა სახის დოკუმენტებზე მუშაობენ, მუდმივად იქ ცხოვრობენ, მუდმივად იქ იმყოფებიან – მივლინებით თუ სალაღობოდ, იქაური წყალი აქვთ დალეული. მათ აქაური სულაც არა იციან რა. რაც მთავარია, არ იციან რით ცხოვრობს, რით სუნთქავს ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა, რა არის მისი ყოველდღიური საფიქრალი, რა უჭირს, რა ულხინს.

ამ უმრავლესობის ერთადერთი სურვილი, დღის გადაგორება და თითო-ოროლა თეთრის შოვნაა და არა ნატოსა და ევროკავშირზე ფიქრი. საზღვარგარეთ, მეტადრე აშშ-ში გამოტრენინგებული თინეიჯერები არიან ევროატლენტიკური ორიენტაციის მებაირახტნენი და მათთან ერთად მთლიანად ნაცმოძრაობა, რომელიც, საკუთარ ქვეყანაში საყრდენგარეშე დარჩენილი, იმ დასავლეთში ეძებს შვება-დახმარებას, პოლიტიკურ თავშესაფარს.

ევროატლანტიკურ მიმართულებას მხარს „ოცნებაც“ უჭერს, ხშირ შემთხვევაში იმისთვის, რომ ვინმემ ქვეყნის მოღალატობა არ დასწამოს.

2008 წლის პლებისციტის შემდეგ არათუ ბევრმა წყალმა, ბევრმა მდინარემაც ჩაიარა. მარტო 2008 წლის ომი რად ღირს ან ტერიტორიების დაკარგვა?! შეიცვალა ხალხის აზრი, მისი დამოკიდებულება არსებული საკითხებისადმი, რაც თავისთავად გვიკარნახებს აზრის ხელახალ გამოკითხვას.

**ჩავატაროთ ახალი პლებისციტი – გამჭვირვალედ, დემოკრატიულად, რაც მთავარია, მანამდე ხალხს ავუხსნათ, რა არის ნატო, რას მოიგებს ქვეყანა იქ შესვლით, რამდენად შესაძლებელია მდუღარე რეგიონში ნატოს შემოსვლა, რა რეაქცია ექნება რუსეთს, ირანს, სომხეთს, აზერბაიჯანს და ეს რეაქცია როგორ აისახება საქართველოზე, ნატოში შესვლით რას მოიგებს ან რას წააგებს ქვეყანა და ა.შ.**

მაგრამ მიიღებენ საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში? საქართველოს მაშინ მიიღებენ ნატოში, როდესაც ის მას შესაფერის ქვეყნად ჩათვლის. ანალოგიურია ევროკავშირშიც შესვლა. ყოველგვარი მიკიბმოკიბვის გარეშე გულახდილად ვთქვათ – ვართ ამ ორგანიზაციებში გაწევრების ღირსი? მხედველობაში მაქვს ჩვენი მენტალიტეტი, უდისციპლინობა, ზერელობა, დაბალი განათლება, გაუგებარი ყოყოჩობა, გაუტანლობა, საქმისადმი არასერიოზული დამოკიდებულება და სხვა ნეგატიური თვისებები, რაც სამწუხაროდ უხვადაა ჩვენში.

და ყოველივე ეს დამატებით იმ ნეგატიურ მომენტებზე, რომელთა გამოსწორება არცთუ იოლი იქნება, მათ შორისაა მეზობლებთან უპრობლემო ურთიერთობა. სხვებს, რომ თავი დავანებოთ, მარტო რუსეთი რად ღირს? რუსეთი მუდამ იქნება ისეთი პრობლემა, რომელსაც ნატო გვერდს ვერ აუვლის. ნატოში საქართველოს გაწევრებით, რუსეთი, ნატოს პრობლემად იქცევა.

ნატომ უნდა იკისროს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა, ანუ მან უნდა გააკეთოს ის, რაც მას არასდროს გაუკეთებია. საქართველოს გულისთვის აიკიდებს ნატო ამ პრობლემას? გარდა ამისა, სხვაც უამრავია.

**ნატოში გაწევრება თავისთავად, თანაც კარდინალურად დასვამს საკითხს ან, ან. ანუ – ან საქართველო რეალურ საზღვრებში, რაც 2008 წლის ომის შედეგად ჩამოყალიბდა ან 1992 წლის ივლისის საზღვრებში – გაეროში მიღების დროს. პლებისციტის მიხედვით, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ისედაც ნატოს გარეთ რჩებიან .**

ამ და სხვა პრობლემების მრავლობითობა არც ერთ ხელისუფლებას არ უნდა აძლევდეს ოპტიმისტური ლაპარაკის საშუალებას. მაგრამ საქართველოს ხელისუფლება სხვაა.

გუშინდელმა, ნაცურმა, მოჭარბებული ტყუილებით და დაპირებებით გაგვატარებინა 9 წელიწადი. ნატოში შესვლის სურვილით არც დღევანდელი ხელისუფლება ჩამორჩება გუშინდელს. ახალიც გამუდმებით უმტკიცებს ხალხს – წინა ხელისუფლების მიერ აღებულ ევროატლანტიკურ კურსს არ გადავუხვევთო, თითქოს ხალხს ნატოზე ამოსდიოდეს მზე და მთვარე.

ახალს ჰგონია, რომ თუ ასე არ თქვა, საკუთარი ხალხი შეაჩვენებს. პირიქით, ბატონებო, შეეშვით ტყუილ დაპირებებს და საქმეს მიხედეთ. ამით უფრო დაფასდებით!

**წინა ხელისუფლებას ნატო, ევროატლანტიკური სივრცე ჩადენილი დანაშაულის გადასაფარად უნდა. თქვენ ეს პრობლემა არ გაქვთ, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით. რაც გაქვთ – ხალხის ნდობაა, ჯერჯერობით. ნატოზე და დასავლეთზე, განსაკუთრებით ამერიკაზე გამუდმებული ლაპარაკი შეარყევს თქვენს რეპუტაციას.**

დადებით კონტექსტში ამერიკა-ნატოს წამდაუწუმ ხსენება ისე მოქმედებს ხალხზე, როგორც წითელი ნაჭერი ხარზე. ხალხი თავისი უბედურების მიზეზად სწორედ დასავლეთს მიიჩნევს და მის მიერ გაჯეჯილებულ ნაცურ მმართველობას. ასეთ ვითარებაში ნუ ცდილობთ დასავლეთის ჩვენთვის შეყვარებას, მით უმეტეს მაშინ, როდესაც სწორედ იმ დასავლეთის, მათ შორის აშშ-ის ძალისხმევით მომზადდა ქართული არმია ორდღიან ომში გასანადგურებლად.

**ეს ომიც, ებრაელი მწერლისა და პუბლიცისტის ლევ გუნინის მიხედვით, ამერიკის გარკვეული წრეების კისერზეა, ისე, როგორც 2007 წლის დემონსტრანტთა დარბევა, ტელეკომპანია „იმედის“ ძალისმიერი დალაშქვრა და სხვა მრავალი. დიახ! აშშ-მა გაგვიწია ფინანსური დახმარება. საქართველოს გაუწია თუ სააკაშვილის ხელისუფლებას? საქართველოს ეს დახმარება, რატომღაც არ დასტყობია.**

2012 წლის შემოდგომაზე გამოვიდა ამერიკელი ანალიტიკოსის ჯეიმს ჯატრასის წიგნი - „ჯიჰადი ჩრდილო და სამხრეთ კავკასიაში“, სადაც ვკითხულობთ: “2008 წლის ომის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლებამ ერთგვარი სპეკულაციური თამაში წამოიწყო რეგიონში და როგორც ჩერქეზთა გენოციდის აღიარებით, ასევე სოჭის ოლიმპიადის გარშემო არაერთი შემაშფოთებელი განცხადება თუ ნაბიჯი გადადგა.

2009 წლის დეკემბერში, თბილისი ჯიჰადის ისლამური წრეების მრავალრიცხოვან წარმომადგენლებს საიდუმლო ვითარებაში მასპინძლობდა. ამ შეხვედრაზე, როგორც ჩრდილოკავკასიელი, ისე ახლო აღმოსავლეთიდან ჩამოფრენილი ექსტრემისტული დაჯგუფებების ლიდერები, ევროპული ქვეყნებიდან ისლამის რადიკალური დაჯგუფებების წევრები და თავად მასპინძელი საქართველოს ძალოვანი უწყებების მაღალჩინოსნები ესწრებოდნენ.

აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ჯიჰადის ექსტრემისტთა საქართველოში ჩაფრენის საკითხს ქუვეითში, საქართველოს ელჩი ეკატერინე მაერინგ-მიქაძე კურირებდა. სააკაშვილის მთავრობა, როგორც კავკასიის საამიროთა ლიდერის უმაროვის მკურნალობისთვის საჭირო თანხების გამოყოფაზე, ისე ექსტრემისტ ბოევიკთა მომზადების დაფინანსებაზე უკან არ იხევდა.

ამ საიდუმლო შეხვედრაზე გადაწყდა, რუსეთის სამხრეთში იდეოლოგიური ომის საწარმოებლად ახალი ტელეარხის „პირველი კავკასიური“-ს შექმნა, რომლის იდეის ავტორები „ჯიჰადი“ და „ალ-ქაიდა“ იყვნენ.

**ნუთუ ვინმეს შეუძლია თქვას, რომ საქართველოში არსებული მრავალრიცხოვანი ამერიკული დესანტი, დიპლომატთა ჩათვლით, ვერ ამჩნევდა ამას? ამჩნევდა და არა მარტო. ჩერქეზთა გენოციდის საკითხი სწორედ აშშ-ის სპეცსამსახურების მიერ იყო ინიცირებული. სხვა მაგალითების მოყვანაც შეიძლება.**

უხილავი, თუ ნახევრად ხილული ფაქტები ეჭვის, უნდობლობის განცდას იწვევს ე.წ. სტრატეგიული პარტნიორის მიმართ. ჩნდება კითხვა – საქართველო საექსპერიმენტო პოლიგონია? თუ ეს ასეა, ამერიკელთა მიერ სამადლოდ გადმოგდებული ფული – არარაობაა.

ნაცთა დროს ევრაზიურ სივრცესთან ისეთი ურთიერთობები იყო ჩამოყალიბებული, სადაც მერკანტილურობა თავის გზას იოლად პოულობდა. შემოაკლდათ „პატივისცემა“ და ამიტომაც, შემოდგომის ბუზებივით იკბინებიან ევროპარლამენტარები. ის, რომ მათ ფეხებზე ეკიდათ საქართველოს დემოკრატია – აშკარაა, წინააღმდეგ შემთხვევაში, რა კავშირი უნდა ჰქონოდათ დემოკრატიის მესაფლავე სააკაშვილთან?

**ისინი, რომ დემოკრატები ყოფილიყვნენ, ომის გამჩაღებელ სააკაშვილს, მილოშევიჩის მსგავს დავიდარაბას შეჰყრიდნენ. აი მაშინ იწამებდა მადლიერი ქართველი ხალხი ევროატლანტიკურ დემოკრატიას.**

მაგრამ, როგორც ჩანს, მოჭარბებულად მიწიერები არიან ისინი. იმქვეყნიურ სამოთხეს, ამქვეყნიური „ატკატი“ ურჩევნიათ, მით უმეტეს ეკონომიკური კრიზისის ჟამს. მათ 2012 წლის 1 ოქტომბრის ომი წააგეს, თუმცა ფარ-ხმალი არ დაუყრიათ. პირიქით, შეტევაზე გადმოვიდნენ და უმცირესობასთან ერთად ფართო ფრონტით გაილაშქრეს ხელისუფლების წინააღმდეგ.

ანტირუსულ პროპაგანდაზე აგებული თავგადარჩენის ნაცური პოლიტიკა ზენიტშია. მიზნის მისაღწევად საჭიროა საზოგადოების გახლეჩა, დაპირისპირება, ერთმანეთზე გადაკიდება. და ყოველივე ეს „ბრძენი“ დასავლეთის თვალწინ. ურთიერთის მიმართ დაგროვილი ნეგატიური განწყობა იზრდება. პატარა ნაპერწკალი და ხანძარი აგიზგიზდება. ვინ იცის, იქნებ მათი ხელის მოსათბობად?



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

SIC!



# პროკურატურა პატიმრების ორგანოებით ვაჭრობის ფაქტებს იკვლევს

**მას შემდეგ, რაც სამართალდამცავებს ეჭვი გაუჩნდათ, რომ საქართველოს ციხეებში გარდაცვლილი მსჯავრდებულების უმრავლესობას ორგანოები ამოჭრილი ჰქონდა, მთავარმა პროკურატურამ გამოძიება დაიწყო. გავრცელებული ინფორმაციით, არცთუ იშვიათად შინაგან ორგანოებს ავადმყოფი პატიმრებიც კარგავდნენ. ამ ეჭვს ყოფილი მსჯავრდებულიც ამყარებს. ხათუნა ჯანაშვილის თქმით, ციხის კონტრაქტორმა კლინიკა „ნიუ ჰოსპიტალსმა“ მას ფილტვის კიბოს დიაგნოზი დაუსვა და ფილტვის ამოჭრა გადაწყვიტა, თუმცა გადამოწმების შემდეგ აღმოჩნდა, რომ პატიმარი ჯანმრთელი იყო.**

**ამ შემზარავ ისტორიებს, შესაძლოა, გაგრძელებაც ჰქონდეს და საბოლოოდ გაირკვეს, ვაჭრობდნენ თუ არა პატიმრების შინაგანი ორგანოებით ქართულ ციხეებში და იყენებდნენ თუ არა მათ ორგანოებს ტრანსპლანტაციისთვის.**

ადვოკატი **ირმა ჭკადუა** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ მას, როგორც უფლებადამცველს, მონიტორინგის ფარგლებში ყველა ციხეში შესვლა უწევდა. სწორედ იმ პერიოდში შეიტყო, რომ ქალთა დაწესებულებაში უამრავი საჩივარი და განცხადება იყო დაწერილი, სადაც პატიმარი ქალბატონები აცხადებდნენ, რომ მათ სხვადასხვა ორგანოს ოპერაციებს ტყუილად უტარებდნენ. უმეტეს შემთხვევაში, სახელდებოდა საშვილოსნოს, თირკმლის, მკერდის ოპერაციები. პატიმარი ქალბატონები ეჭვობდნენ, რომ მათ სულაც არ ესაჭიროებოდათ აღნიშნული ოპერაციები.

პატიმარ ქალთა ამ ისტორიების მოსმენის შემდეგ ირმა ჭკადუას ეჭვი კონკრეტულმა ფაქტმაც გაამყარა. კერძოდ, ყოფილ პატიმარს ხათუნა ჯანაშვილს ფილტვის სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს. იგი გამზადებული იყო საოპერაციოდ და შეჰყავდათ საოპერაციოში, რაზედაც მან ორჯერ უარი განაცხადა. ამის დამადასტურებელი ოფიციალური ოქმები არსებობს, სადაც პატიმარმა ქალბატონმა აღნიშნა, ხელს ვაწერ, თუნდაც მოვკვდე, მაგრამ ოპერაციას არ გავიკეთებო. მართლაც, ციხეში ყოფნისას ამ ქალბატონმა ნათესავების მეშვეობით ანალიზები გაგზავნა სხვადასხვა კლინიკაში, მათ შორის, საქართველოს ონკოცენტრში, სადაც ჯერ კიდევ მაშინ, როცა იგი პატიმრობაში იმყოფებოდა, დადასტურდა, რომ ფილტვის ამპუტაციის საჭიროება არ არსებობდა.

ირმა ჭკადუა იმასაც აცხადებს, რომ ხათუნა ჯანაშვილს ამჯერად ყველა დოკუმენტი გამზადებული აქვს, რათა ამ საკითხის გამო შესაბამის სამართალდამცავ უწყებაში იდავოს.

**„ვერც დავადასტურებ და ვერც უარვყოფ, რომ მისი ფილტვი მაინცდამაინც ტრანსპლანტაციისთვის სჭირდებოდათ. ამით უდანაშაულობის პრეზუმპციას ვერ დავარღვევ, მაგრამ ფაქტია, რომ ამას ცოცხალი ადამიანი ასაბუთებს და დოკუმენტებსაც იშველიებს. ციხიდან გამოსვლის შემდეგ მან ისევ გადაამოწმა ანალიზები და გაირკვა, რომ არანაირი შემხებლობა ფილტვთან არ ჰქონია და საერთოდ, ამ ორგანოს პრობლემაც კი არ ჰქონია“,** — აღნიშნა ირმა ჭკადუამ.

მისი თქმით, **ეს ქალბატონი რამდენიმე თვის განმავლობაში წამების ქვეშ იმყოფებოდა, რადგან არწმუნებდნენ, სიმსივნე გაქვს და თუ არ გაიკეთებ ოპერაციას, შეიძლება, გარდაიცვალოო. ამის გამო ისე ინერვიულა მისმა დედამ, რომ ხათუნა ჯანაშვილის მიერ საპატიმროს დატოვებიდან ათი დღის შემდეგ გარდაიცვალა.**

ირმა ჭკადუას ინფორმაციით, **მომხდარზე გამოძიება პროკურატურაში დაწყებულია და იგი კბილაშვილის უწყებას სავსებით ენდობა. ისიც სჯერა, რომ მთავარი პროკურორი ასეთ მნიშვნელოვან საკითხს უბრალოდ არ გაატარებს.**

**ადვოკატი კიდევ ერთი მნიშვნელოვან დეტალზე ამახვილებს ყურადღებას. კერძოდ, პატიმართა უმრავლესობა აცხადებს, რომ ქალაქის ტიპის საავადმყოფოში გადაყვანისას მათ აიძულებდნენ, „ნიუ ჰოსპიტალსის“ მომსახურებით ესარგებლათ. ეს მაშინ, როცა პატიმრებს გადამოწმებული ინფორმაცია ჰქონდათ, რომ გაცილებით იაფი ჯდებოდა სხვა საავადმყოფოებში ანალოგიური სახის ოპერაცია.**

დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრ „ვექტორის“ ხელმძღვანელი ალექსანდრე გეჯაძე For.ge-სთან საუბარში ადასტურებს, რომ **პროკურატურაში მართლაც შევიდა მსგავსი ტიპის განცხადება და ერთ-ერთი ყოფილი პატიმარი საუბრობდა ამ ფაქტებთან დაკავშირებით. თუმცა რეალურად ხდებოდა თუ არა ასეთი მძიმე დანაშაული ქართულ ციხეებში, ცალსახად ამის დადასტურება, ან გამორიცხვა ალექსანდრე გეჯაძეს არ შეუძლია, სანამ გამოძიება შესაბამის დასკვნას არ დადებს.**

მისივე განმარტებით, იმ პერიოდში იგი მხოლოდ გვამების გარეგანი დათვალიერებით შემოიფარგლებოდა და ცხადია, ვერ დააკონკრეტებს, თუ რა ხდებოდა პატიმრების გვამების შინაგან ორგანოებთან მიმართებით, რომლებსაც პენიტენციარულ სისტემაში გარდაცვლილი პატიმრების ჭირისუფლების მოთხოვნით გარეგნულად ათვალიერებდა.

ამასთან, განმარტავს, რომ ექსჰუმაციის შემთხვევაში, ამის გამორკვევა დაგვიანებული არ იქნება და თუკი ერთი წლის, ან წელიწადნახევრის დასაფლავებულია მიცვალებული, იქ კიდევ შეიძლება გარჩევა, ცალკეული ორგანო აკლია თუ არა მიცვალებულს.

ექსპერტი დანაშაულის სიმძიმის შეფასებას იურისტებს ანდობს. თუმცა, როგორც მოქალაქე, ადასტურებს, რომ, თუკი ქართულ ციხეებში ასეთი რამ მართლაც ხდებოდა, ეს კოშმარი და კატასტროფაა.

**მარიამ ლოლაშვილი**

ინფორმაცია

## ტაქსის მძღოლის მკვლელები დაკავებულნი არიან

**სამართალდამცავებმა ტაქსის მძღოლის მკვლელობის თანამონაწილეები დააკავეს.**

**ამასთან, შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს და ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს გარდაბნის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1991 წელს დაბადებული კონსტანტინე რ. და 1981 წელს დაბადებული მეგი მ. ყაჩაღობისა და განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს. დაკავებულებმა 18 მარტს, გამთენიისას, მესამე თანამზრახველთან ერთად, ნავთლუღის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე ტაქსი გააჩერეს. მათ მძღოლს ე. წ. პეტრე-პავლეს სასაფლაოზე წაყვანა სთხოვეს. ადგილზე მისვლისას, ბრალდებულებმა ცივი იარაღის მუქარით მძღოლს, 1963 წელს დაბადებულ თამაზ მურაჩაშვილს ფული და მობილური ტელეფონი მოსთხოვეს. ურთიერთშელაპარაკებისას, კონსტანტინე რ-მ ტაქსის მძღოლს დანით მრავლობითი ჭრილობა მიაყენა. დამნაშავეებმა მობილური ტელეფონი და ფული მიითვისეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. თამაზ მურაჩაშვილი ადგილზე გარდაიცვალა.**

**გამოძიებამ დაადგინა, რომ კონსტანტინე რ. წარსულში ქურდობის, ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებისა და ცივი იარაღის უკანონო ტარებისთვისაა ნასამართლევი, ხოლო მეგი მ. — ქურდობისთვის.**

**კონსტანტინე რ-ს მიმართ გამოძიება საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით და 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ„ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, მეგი მ-ს მიმართ კი — 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.**

**ინტერპრესი**

დანაშაული და სასჯელი

# „ცოტნე დადიანად“ შერაცხილი ციხის ბუნტის ორგანიზატორია

**ბაჩო ახალაიას ციხის ბუნტის ორგანიზატორობაზე საუბრობს ერთ-ერთი მაშინდელი მსჯავრდებულისა და ამჟამად მოწმის იოსებ ჩარგაზიას ადვოკატი ჯუმბერ მილორავა. იგი აცხადებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი 2006 წლის 27 მარტის ციხის ბუნტის შემსწრეა, რომელიც ყველაფრის ინსცენირებაში მაშინდელი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსს ადანაშაულებს. მისი აზრით, ყოველივე გაკეთდა მოსახლეობაზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მიზნით — ხელისუფლება აკონტროლებს ვითარებას, მედიას და ზოგადად პატიმრებსაც. მიზანიც ნათელი იყო, მოსახლეობა ყოფილიყო დათრგუნული და დამორჩილებული, — აცხადებს მილორავა.**

ადვოკატი ყვება ბუნტის პერიპეტიებსაც. ყველაფერი დაიწყო სამკურნალო დაწესებულებაში ე. წ. კანონიერ ქურდებზე ფიზიკური ზემოქმედებიდან, რასაც ხმაური მოჰყვა. ყვირილმა ორთაჭალის ციხემდეც მოაღწია. მოხდა მხარდამჭერის დემონსტრირება ხმაურითა და შეძახილებით. სწორედ ეს გამოიყენა საბაბად პოლიტიკურმა ხელისუფლებამ და სასჯელის აღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელს დაავალა არა მხოლოდ უკმაყოფილოთა დასჯა, არამედ მთლიანად პატიმართა კორპუსისა, თანაც უმკაცრესი მეთოდებით.

ჩარგაზიას ნაამბობის მიხედვით ადვოკატი ამბობს, რომ იმ საბედისწერო დღეს იმყოფებოდა საკანში. კარი არ გაღებულა, არ გატეხილა, ამის მცდელობაც არ ყოფილა. საკნებში ე. წ. „კარმუშკებიდან“ შეყოფილი იყო სხვადასხვა სახის იარაღი და ისროდნენ პირდაპირ ბრმად, სულერთი იყო, ვისაც მოხვდებოდა. მილორავას გადმოცემით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი დაიჭრა ფეხში აკმის ტყვიით. მისი თანამოსაკნე ბუხრაშვილი გარდაიცვალა. დაჭრილს ექიმიც კი არ შეუგზავნეს და სისხლისგან დაიცალა. ამას ამტკიცებს ჩარგაზიასთან საკანში მყოფი მსჯავრდებული პეტრიაშვილიც.

ამის შემდეგ, პატიმრების გადმოცემით, ბაჩო ახალაიამ, შსს-ს სხვა ოფიცრებთან ერთად 72-ე საკანთან დაიწყო იარაღების დალაგება, ვითომ ციხეში იარაღი იყო შესული და პატიმრებს ციხის აღება უნდოდათ.

როდესაც სისხლმოწყურებულმა ახალაიამ და მისმა თანამზრახველებმა ცხოველური ჟინი მოიკლეს, დაიწყო იმ ადამიანების დევნა, რომელთაც შეეძლოთ რაიმე ინფორმაცია გაეტანათ მომხდარის შესახებ — შანტაჟი, დაშინება, ცემა, წამება მიღებული ნორმები იყო. ასეთ დღეში ჩავარდა მილორავას დაცვის ქვეშ მყოფიც. მაგრამ, როგორც ადვოკატი ამტკიცებს, იგი ვერ გატეხეს. ჩარგაზია მუდამ აგზავნიდა საჩივრებს უფლებათა დამცველებთან. ტუსაღის ცემა-წამებაში ბაჩო ახალაიას გარდა ფიგურირებენ მეგის ქარდავა და, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, სამკურნალო დაწესებულებების ექიმი დავით ასათიანი. ისინი ჩარგაზიასთან ჩვენების შეცვლას მოითხოვდნენ. ადმინისტრაციის განსაკუთრებულ გაღიზიანებას იწვევდა ჩვენების ის ნაწილი, სადაც პატიმარი წერდა, რომ იარაღის „მიღების“ (დადების) ფაქტებს ვიდეო კამერით აფიქსირებდნენ ახალაია და მერაბ ბაღათურია — ამბობს ჩარგაზიას დამცველი. იგი იმაზეც ლაპარაკობს, რომ ახალაიას სასამართლოს ღიად ჩატარება კუბლაშვილს არ აწყობს, რადგანაც იგიც ამ ვანდალური ხელისუფლების ნაყოფია, მაგრამ ეს უნდა მოხდეს, რათა საზოგადოებამ გაიგოს, რა ხდებოდა ციხეში და მის გარეთ — მიიჩნევს მილორავა.

### რას დაპირდა კუბლაშვილი ახალაიას

**ცოტა ხნის წინათ ცნობილი გახდა, რომ „ცოტნე დადიანმა“ და მასთან ერთად სხვა განსასჯელებმა უარი თქვეს, რომ მათი საქმეები ნაფიც მსაჯულებს განეხილათ. არადა თავიდან ეს საკითხი დღის წესრიგში მათ არაერთი და დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ დადგა.**

ახალაიას ადვოკატის განმარტებით, უარის თქმა გამოწვეულია იმ მიზეზით, რომ პროკურატურამ ახალაია წარმოაჩინა ცუდ ადამიანად, ბოროტმოქმედად და იმ ადამიანებს, რომლებიც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში მიიღებდნენ მონაწილეობას, გადაწყვეტილებაც წინასწარ ექნებოდათ მიღებული და პოზიციაც წინასწარ ჩამოყალიბებული. ამის გამო ნაფიცი მსაჯულები ობიექტურები ვერ იქნებოდნენ და უარიც იმიტომ ვთქვით, აცხადებს ადვოკატი.



საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევის ცენტრის დირექტორის კახი კახიაშვილის განმარტებით, ახალაიამ კარგად იცის, რომ ნებისმიერ შემთხვევაში მას მხოლოდ იმ სასამართლოს იმედი უნდა ჰქონდეს, რომელიც დღესაც პოლიტიკურ დაკვეთებს ასრულებს. პოლიტოლოგი დარწმუნებულია, რომ მას კუბლაშვილმა გარანტია მისცა, რომ სასამართლო ისეთ განაჩენს გამოიტანს, როგორიც მას აწყობს. აქედანაც გამომდინარეობს უარი ნაფიც მსაჯულებზე, ასკვნის კახიშვილი.

საქმის არსებითი განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოში გუშინ დაიწყო. მოსამართლეა ეკა არეშიძე. 28 მარტსა და 22 აპრილს დაიწყება ციხის ბუნტისა და შსს-ს თანამშრომლებისთვის მიყენებული ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის ბრალდების საქმეებზე მსჯელობა.

**ზაზა ბილიხოძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# 5. ჰაბემუს პაპამ!

„პაატა, ჩვენო კარგო! ჰაბემუს პაპამ! ძალიან დიდი ამბავია არგენტინაში, კარდინალი ბერგოლიო რომ ამოირჩიეს“, – მწერს ბუენოს-აირესიდან გულნარა ჭეიშვილი, ემიგრაციაში მოღვაწე ცნობილი ქართველი მწერლების თამარ და აკაკი პაპავების შვილიშვილი – „ჭკვიანი, განათლებული, კეთილი ადამიანი არის. იმედია კარგად წაიყვანს კათოლიკურ ეკლესიას“.

გულნარა მართლმადიდებელია, არგენტინაში მცხოვრები ქართველი მართლმადიდებელი. მრავალი წლის წინათ პარიზის წმინდა ნინოს ეკლესიაში მონათლა მამა ილია მელიამ. მისი ნათლიები არიან თამაზ ნასყიდაშვილი, პავლე ვაშაძე, დეიდამისი ტურფა პაპავა-ჭეიშვილი და გენერალ კვინიტაძის მეუღლე – მარიამ კვინიტაძე.

არგენტინელებზე და კათოლიკეებზე რომ არაფერი ვთქვათ, გულნარა ჭეიშვილის მსგავსად, მრავალმა არაარგენტინელმა და არაკათოლიკემაც გაიხარა კარდინალ ბერგოლიოს არჩევით. კათოლიკური ეკლესიის დღევანდელი პრობლემები არ არის მხოლოდ კათოლიკური ეკლესიის პრობლემები. განა მართლმადიდებლებს კი არ აწუხებთ, მაგალითად, ის ამბავი, რომ ევროპის ქვეყნების უმეტესობამ ერთსქესიანი ქორწინებები დაუშვა და ამით არათუ საფრთხე შეუქმნა ნორმალურ ოჯახს, როგორც სოციალურ ფასეულობას, არამედ მისი საფუძვლების მოშლა დაიწყო.

სხვათა შორის, ბევრს წერენ, რომ ბენედიქტე XVI-ის გადადგომის ერთ-ერთი მიზეზი, სექსუალურ ძალადობასთან და ვატიკანის ბიუროკრატიაში გამეფებულ კორუფციასთან ერთად ისიც იყო, რომ იგი წინ ვერ აღუდგას ამ პროცესს.

ეს კი, 265-ე რომპაპი, სასტიკი წინააღმდეგია ერთსქესიანი ქორწინებებისა. ჯერ კიდევ 2010 წელს მან ამ პროცესს „ღმერთის ჩანაფიქრის ხელყოფის ცდა“ უწოდა. ამის გამო იგი დღემდე დაპირისპირებულია არგენტინის ხელისუფლებასთან და ქვეყნის პრეზიდენტ კრისტინა ფერნანდეს დე კირშნერთან, ისევე როგორც დაპირისპირებული იყო მის აწ განსვენებულ მეუღლესთან, არგენტინის წინა პრეზიდენტთან ნესტორ კირშნერთან.

კრისტინა ფერნანდეს დე კირშნერი მიესალმა არგენტინელი კარდინალის გარომპაპებას და გადაკვრით იმის იმედიც გამოთქვა, რომ იგი მთელი თავისი ავტორიტეტით ხელს შეუწყობს არგენტინას ინგლისთან მოლაპარაკებაში ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების თაობაზე.

საერთოდ, ახალ რომპაპს ბევრი ადამიანი და ბევრი ქვეყანა უყურებს იმედის თვალით.

ალბათ შემთხვევითი არ არის, რომ პრობლემებში ჩაფლული კათოლიკური ეკლესიის გადასარჩენად კარდინალებმა მზერა სამხრეთ ამერიკას მიაპყრეს, სადაც კათოლიკეთა მთლიანი რაოდენობის 42 პროცენტი ცხოვრობს, და სადაც ეკლესიის გაძლიერებაზე ზრუნავენ და არა ერთსქესიანი ქორწინებების ავ-კარგსა თუ ღვთისმსახურთა გენდერულ თანასწორობაზე, რაც ევროპის ეკლესიებში ლამის დომინანტურ თემებად იქცა.

ახალი პაპი პირველი სამხრეთ ამერიკელია წმინდა ტახტზე, პირველი არაევროპელი 1300 წლის მანძილზე სირიელი გრიგორი III-ის შემდეგ, პირველი იეზუიტი და პირველი, ვინც სახელად ფრანსისკო დაირქვა.

– კი, ის სამხრეთამერიკელია, მაგრამ ყველაზე ევროპელი სამხრეთამერიკელ კარდინალთა შორის, – ამბობს როიტერის კორესპონდენტთან საუბარში 32 წლის მექსიკელი ვებდიზაინერი დანიელ ვილალპანდო, – კარდინალებმა განახლების შანსი გაუშვეს ხელიდან, მათ კიდევ ერთი ბებერი აირჩიეს!

თუ მექსიკელი დიზაინერი განახლებაში ერთსქესიან ქორწინებებსა და ქალ მღვდლებს გულისხმობს, კონკლავმა არგენტინელი კარდინალის არჩევით მართლაც უარი თქვა ამგვარ განახლებაზე. რაც შეეხება იმას, რომ ახალი რომპაპი ყველაზე ევროპელია სამხრეთამერიკელთაგან, მისი გამორჩევის ერთი მიზეზი შეიძლება ამაშიც იყოს საძიებელი – ევროპელთა, და განსაკუთრებით იტალიელთა, მხარდაჭერის გარეშე ვერც ერთი კანდიდატი ვერ გაიმარჯვებდა. იტალიელები კი, როგორც ჩანს, ერთმანეთის ქიშპით ერთ კანდიდატზე ვერც ამჯერად შეჯერდნენ და მათ მიერ კარდინალ ბერგოლიოსთვის მიცემული ხმები უფრო სხვა კანდიდატ(ებ)ის წინააღმდეგ მიცემული ხმები იყო.





არჩევისათვის აუცილებელი ორი მესამედი იტალიური წარმოშობის არგენტინელმა კარდინალმა ხმის მიცემის მეხუთე ტურში მოაგროვა.

კარდინალთა კონკლავი 12 მარტს შეიკრიბა რომში, სიქსტის კაპელაში. წმინდა პეტრეს მოედანზე შეკრებილი ხალხი იმ საღამოსვე ელოდა თეთრ კვამლს კაპელის საკვამურიდან – ბიულეტენების დაწვისას ცეცხლში სპეციალურ ფხვნილს ყრიან კვამლისთვის საჭირო ფერის მისაცემად, – მაგრამ საკვამურიდან შავი კვამლი ამოვიდა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ პირველი ტური უშედეგოდ დამთავრდა.

არავინ იცის და კაპელაში მყოფთა გარდა ვერც ვერავინ გაიგებს ოდესმე, რა სურათი გამოიკვეთა იმ პირველი ტურის შემდეგ. ალბათ გაჩნდნენ ლიდერები, გაჩნდნენ აუტსაიდერები, გამოჩნდა ზოგადი ტენდენციები და კარდინალთა ამა თუ იმ ჯგუფის ინტერესები და სიმპათია-ანტიპათიები.

პირველი ტური ერთგვარი მოთელვა უნდა ყოფილიყო და კარდინალები იმ ტურის შემდეგ მოსასვენებლად კი წავიდნენ, მაგრამ ეს, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე მოუსვენარი და ყველაზე უძილო ღამე იყო მათ ცხოვრებაში.

მეორე დილას ჩატარებული ორი კენჭისყრა ისევ შავი კვამლით დასრულდა. პირველი დღის გარდა ყოველდღე ოთხი კენჭისყრა იყო დაგეგმილი, ორი დილით და ორი საღამოს. 13 მარტის საღამოს პირველი კენჭისყრაც უშედეგო იყო, მეორე კი...

საღამოს 7 საათსა და 6 წუთზე სიქსტის კაპელის საკვამურიდან თეთრი კვამლი ამოვიდა!

– Habemus Papam! – თეთრ კვამლთან ერთად შეუერთდა საწვიმარ ღრუბლებს ათეულ ათასობით ადამიანის სიხარულის ყიჟინა წმინდა პეტრეს მოედნიდან.

კონკლავი ორ დღეს გრძელდებოდა და ამ ხნის განმავლობაში რომში სულ წვიმდა. მთელი ორი დღე წმინდა პეტრეს მოედანი ქოლგებით იყო დაფარული.

– Habemus Papam! – ჩვენ გვყავს რომპაპი! – სწორედ ეს სიტყვები წარმოთქვა წმინდა პეტრეს ბაზილიკის პროტოდიაკონმა, ფრანგმა კარდინალმა ჟან-ლუი ტორანმა, როცა მძიმე პორტიერები გადასწიეს და იგი წმინდა პეტრეს ტაძრის ცენტრალურ აივანზე გამოჩნდა. მერე ხალხმა ახალარჩეული რომპაპის ვინაობა გაიგო, უფრო მერე კი ის სახელიც, რომელიც მან დაირქვა. დაბოლოს, 8 საათსა და 12 წუთზე თავად ისიც გამოჩნდა – რომპაპი ფრანსისკო – სათვალიანი, მოკრძალებული, თითქოს შეცბუნებულიც.

მანამდე იგი სპეციალურად აღჭურვილ ოთახში შევიდა, რომელსაც ტიარების ოთახი ჰქვია და ახალი რომპაპისთვის გამზადებული სამი სხვადასხვა ზომის შესამოსელიდან ალბათ ყველაზე მცირე ზომისა მოირგო. მერე კარდინალის წითელი ძუკეტოს ნაცვლად თეთრი პილეოლუსი დაიხურა. პაპს წითელი მოკასინები არ ჩაუცვამს, თავისი შავი, უბრალო ფეხსაცმელები დაიტოვა, იმდენად გაცვეთილი, რომ კონკლავის წინა დღეს ორი სამხრეთამერიკელი კარდინალი მაღაზიისკენ ექაჩებოდა, ახალი ფეხსაცმლის საყიდლად. ბოლოს ახალი რომპაპი იმ თავისი ძველი ფეხსაცმლითა და ახალი სამოსით სიქსტის კაპელაში შებრუნდა და 114 კარდინალი წმინდა პეტრეს მორიგ მონაცვლეს ხელზე ემთხვია პატივისცემისა და მორჩილების ნიშნად. რომპაპის თეთრ სამოსში პირველი გამოჩენისას ფრანცისკოს მკერდზე უბრალო რკინის ჯვარი ეკიდა. დიდი ოქროს ჯვრის გარდა ახალმა რომპაპმა უარი თქვა აგრეთვე მოცეტაზე, მოკლე მოსასხამზე, რომელზეც ჯერ კიდევ იოანე-პავლე II-მ თქვა უარი, მაგრამ ბენედიქტე XVI-მ ისევ აღადგინა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ნაცვლად იმისა, ტრადიციისამებრ ტახტზე მჯდარიყო, ფრანცისკო ამ პირველი თაყვანისცემისას ფეხზე იდგა.

ალბათ დადგება საკითხი, როგორ გადმოვიტანოთ ქართულად ახალი პონტიფიკოსის სახელი. სხვადასხვა ენაზე მისი სახელი იწერება და წარმოითქმის, როგორც ფრანსის, ფრენსის, ფრანსისკ, ფრანცისკ, ფრანცისკო, ფრანსისკო, ფრანცისკუს, ფრანჩესკო... თავიდან ეგონათ, რომ მან ეს სახელი XVI საუკუნის გამოჩენილი იეზუიტი მისიონერის, იეზუიტთა ორდენის თანადამფუძნებლის, იეზუიტთა პირველი შვიდეულის წევრის, წმინდა ფრანსისკო ხავიერის გამო დაირქვა, მაგრამ ახალი რომპაპის თქმით, მან სახელი წმინდა ფრანსისკ ასიზელის პატივიცემის ნიშნად აირჩია. ასე რომ, ქართულად მისი სახელი ისევე უნდა გადმოვიტანოთ, როგორც ფრანსისკ ასიზელისა გადმოგვაქვს: ფრანსისკ ან ფრანსისკი. მაგრამ თუ ფრანსისკ ასიზელი და ფრანსისკ I კარგად ჟღერს, რამდენადმე მოუქნელი ჩანს ეს „ფრანსისკი“, რომელსაც აშკარად სჯობს ხავიერის სახელი – „ფრანსისკო“ და ქართულში ამის ანალოგიც გვაქვს სან-ფრანცისკოს სახით. სხვისი არ ვიცი, და მე ახალ რომპაპს ფრანსისკოს დავუძახებ, ყოველ შემთხვევაში, მანამ, სანამ რომელიმე მისი მემკვიდრე ამავე სახელს არ დაირქმევს და ეს, ახლანდელი, ფრანსისკ I-ად არ იქცევა. ვატიკანის პრესსპიკერმა განაცხადა, რომ ფრანსისკ II-ს გამოჩენამდე ის არა ფრანსისკ I, არამედ უბრალოდ ფრანსისკო იქნება. სხვათა შორის ფრანსისკ ასიზელიც რელიგიური სახელია, ერობაში მას ჯოვანი ბერნარდონე ერქვა.

16 მარტს ჟურნალისტებთან შეხვედრისას, ფრანსისკომ კონკლავამდე დადებული ფიცის მიუხედავად, ოდნავ გადასწია იდუმალების ფარდა – მის სახელთან დაკავშირებული კითხვის პასუხად წინასწარ მომზადებული ტექსტი გვერდზე გადადო და კონკლავის ერთი დასკვნითი ეპიზოდი გაიხსენა:

– მე ჩემი ახლო მეგობრის, სან-პაულუს საპატიო არქიეპისკოპოსის კლაუდიო ჰუმესის გვერდით ვიჯექი. როცა მეხუთე ტურში ვითარება უაღრესად დაიძაბა, იგი მამშვიდებდა. ხოლო როცა ხმის დათვლა დამთავრდა და კარდინალებმა ტაში დასცხეს, იგი გადამეხვია, გადამკოცნა და ღარიბები არ დაივიწყოო, მითხრა. სწორედ მაშინ წარმომიდგა თვალწინ ფრანსისკ ასიზელი, ღარიბთა და უპოვართა შემწე და მეოხი.

ფრანსისკ ასიზელს, რომელიც წარმოშობით მდიდარი ოჯახიდან იყო, ნებაყოფლობითი სიღარიბის აღთქმა ჰქონდა დადებული.

იმ შეხვედრაზე პაპმა ისიც გაიხსენა, რომ ზოგიერთი კარდინალი ურჩევდა, ადრიანი დაერქმია, რომლის სახელი ეკლესიის რეფორმირებასთან არის დაკავშირებული. სხვები კლემენტე XV-ობას სთავაზობდნენ, აქაოდა ფრანცისკანელმა კლემენტე XIV-მ პაპობის ინსტიტუტის მთავარი დასაყრდენის, იეზუიტთა ორდენის დაშლა დაადგინაო.

ასე იყო თუ ისე, მან ფრანსისკო აირჩია სახელად და გარდა იმისა, რომ მსოფლიოსათვის რამდენადმე მოულოდნელი აღმოჩნდა კონკლავის არჩევანი, ყველასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა მისი სახელიც, უპრეცედენტო პაპობის ორიათასწლოვან ისტორიაში.

პირდაპირ ეთერში ვერ ვუყურე, მაგრამ როდესაც იუტუბზე ფრანსისკოს ის პირველი გამოჩენა ვნახე, ჩემამდე იგი სულ 24 ადამიანს ჰქონდა ნანახი.

წმინდა პეტრეს მოედანზე არგენტინის დროშები ფრიალებდა. არგენტინის დროშების ამგვარი აფრიალება მსოფლიოს ორჯერ აქვს ნანახი – 1978 და 1986 წლებში, როცა არგენტინის ფეხბურთელთა გუნდი მსოფლიო ჩემპიონი გახდა. მეორედ ეს სწორედ რომში მოხდა 27 წლის წინათ.

იტალიური „ილ მესაჯეროს“ კორესპონდენტმა დუბაიდან იმ ტრიუმფის მთავარი გმირის, უკვე 52 წლის დიეგო მარადონას კომენტარი გადმოსცა:

„მე ჭეშმარიტად ბედნიერი ვარ და ვიცი, ასეთსავე ბედნიერებას განიცდის მთელი არგენტინელი ხალხი. ყველა არგენტინელს ახსოვს „ღმერთის ხელი“, რომელმაც 1986-ში ინგლისთან მოგვაგებინა. ახლა ამ „ღმერთის ხელმა“ არგენტინელი პაპი გვაჩუქა.“

– ააარ-გეეენ-ტინა! ააარ-გეეენტინა! – მაშინაც ასე გუგუნებდა რომი. ხოლო რა ხდებოდა, არგენტინაში, ამის შესახებ გულნარამაც მომწერა და მეორე დღეს ტელევიზიითაც ვნახეთ.

თუმცა ყველა როდი ხარობდა. ახალი რომპაპის მიმართ კრიტიკულად განწყობილმა ხალხმა სამხედრო დიქტატურის პერიოდი გაიხსენა და ის ამბავიც წამოატივტივა, როგორ მოუხდა მაშინ ეპისკოპოს ბერგოლიოს ჩვენების მიცემა ხუნტის „სიკვდილის ესკადრონების“ ხელში თითქოსდა მისი ხელშეწყობით ჩავარდნილი ორი მღვდლის საქმეზე. ვატიკანმა, მისი პრესმდივნის პირით, ეს ბრალდებები მემარცხენე არტიკლერიკალთა შეთქმულებად მონათლა, თუმცა ის კი დაადასტურა, რომ ბერგოლიო მართლა დაკითხეს, როგორც მომხდარი ფაქტების შესახებ ინფორმირებული პირი. ნობელის პრემიის ლაურეატი, არგენტინელი უფლებადამცველი ადოლფო პერეს ესკუველი, რომელსაც არცთუ თბილი დამოკიდებულება აქვს ეკლესიასთან, ამბობს, რომ კარდინალ ბერგოლიოს არავითარი შეხება არ ჰქონია არგენტინის სამხედრო ხუნტასთან. ბრალდებების საპასუხოდ პრესაში გაჩნდა აგრეთვე მტკიცებები იმის შესახებ, რომ კარდინალმა ბერგოლიომ სამხედრო დიქტატურის პერიოდში არაერთი ადამიანის სიცოცხლე იხსნა.

მთელი მსოფლიო გაოცდა რომპაპის პირველი მიმართვით ვატიკანში შეკრებილი მრავალათასიანი სამწყსოსადმი, როცა მან, ნაცვლად ტრადიციული რომპაპული კურთხევისა ქალაქისა და მსოფლიოსათვის (Urbi et Orbi), ხალხს სთხოვა, ელოცათ მისთვის. მთელი მსოფლიო გაოცდა, მაგრამ არა არგენტინა. არგენტინელთათვის კარგადაა ცნობილი ბუენოს-აირესის ყოფილი არქიეპისკოპოსის თავმდაბლობის ამბავი, მას არაერთხელ უთხოვია მრევლისთვის თუ რიგით პასტორთათვის, ელოცათ მისთვის, ხშირად მუხლიც მოუდრეკია მათ წინაშე და ფეხებიც დაუკოცნია.

წმინდა პეტრეს მოედანზე შეკრებილი ხალხის მდუმარე ლოცვას ახალი რომპაპისათვის მისი პირველი დალოცვა მოჰყვა:

„ახლა კი მე გლოცავთ ყველა თქვენგანს და მთელ მსოფლიოს, კეთილი ნების ყველა მამაკაცსა და ქალს. ძმებო და დებო, მე უნდა დაგტოვოთ. დიდი მადლობა ასეთი მიღებისათვის. ილოცეთ ჩემთვის და მე მალე ისევ თქვენთან ვიქნები... ჩვენ მალე კვლავ ვნახავთ ერთმანეთს.

ხვალ მე ღვთისმშობელს შევთხოვ, რომ თავისი კალთა გადააფაროს რომს.

ღამე მშვიდობისა და ძილი ნებისა!“

**პაატა ნაცვლიშვილი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ობამას ადმინისტრაციას საქართველოს საკონსტიტუციო კრიზისში ჩარევისკენ მოუწოდებენ

**საქართველოს ახალი მთავრობა ახორციელებს მისიას, რომ დაარწმუნოს შეერთებული შტატების ჩინოვნიკები და კანონმდებლები დაეხმარონ მათ იმის აღკვეთაში, რასაც თავად აღწერენ, როგორც მოსალოდნელ კონსტიტუციურ კრიზისს, რომელმაც შეიძლება ჩაშალოს საპრეზიდენტო არჩევნები რუსეთის მეზობელ ამერიკის მოკავშირე ქვეყანაში.**



პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი და მისი საპარლამენტო უმრავლესობა, კოალიცია „ქართული ოცნება“ ამბობს, რომ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თითქმის აუცილებლად დაითხოვს მთავრობას ოქტომბრის არჩევნების წინ და საკუთარ ხალხს მოიყვანს ხელისუფლებაში. ისინი არწმუნებენ შეერთებულ შტატებს (საქართველოს მთავარ სამხედრო და ეკონომიკურ დონორს, რომელმაც შარშან მისთვის 85 მილიონი დოლარი გაიღო) უთხრას სააკაშვილს, რომ მან მხარი უნდა დაუჭიროს კონსტიტუციურ ცვლილებებს, რომელიც ამას შეუძლებელს გახდის.

„კარგი იქნება თუკი საქართველოს მეგობრები, რომლებიც იმავდროულად სააკაშვილის მეგობრებიც არიან, მისცემენ მას ამ მეგობრულ რჩევას“, განაცხადა **The Hill**-თან ინტერვიუში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა. „ეს მისი ქვეყნისთვის უკეთესია“.

უსუფაშვილი ვაშინგტონში კვირას ჩამოვიდა და კვირის განმავლობაში შეხვედრებს მართავს სახელმწიფო დეპარტამენტის ჩინოვნიკებთან, ის შეხვდა ასევე ოცამდე კანონმდებელს, მათ შორის რესპუბლიკელ სენატორ ჯონ მაკკეინს, რომელიც სააკაშვილის დიდი ხნის ახლობელია. პრეზიდენტმა პირობა დადო, რომ არ გამოიყენებდა დათხოვნის ბერკეტს, თუმცა დღემდე უარს აცხადებს ივანიშვილის მთავრობასთან გარიგებაზე.

„რა თქმა უნდა, ეს უდიდესი კონფლიქტის პროვოცირებას მოახდენს“, თქვა უსუფაშვილმა. „ცხადზე უცხადესია, რომ საქართველოს მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობა მხარს უჭერს კოალიცია „ქართულ ოცნებას“ და მის ლიდერს ბიძინა ივანიშვილს“.

„მან პირობა დადო, რომ ამ ძალაუფლებას არ გამოიყენებს. თუმცა, ჩვენ საკმარისად ზრდასრულები ვართ იმისთვის, რომ ვიცოდეთ — ასეთი დაპირებები მხოლოდ დაპირებებია. ჩვენი პასუხი ასეთია: „თუკი ამბობ, რომ გაქვს სახიფათო იარაღი ხელში და ეთანხმები იმას, რომ ამ ტიპის იარაღი არ არის ისეთი რამ, რაც დემოკრატიულ პრეზიდენტებს აქვთ მსოფლიოში, რატომ არ ამბობ მასზე უარს?“

ბრძოლამ სააკაშვილს და ივანიშვილს შორის შარშანდელი პარლამენტის არჩევნების წინ ვაშინგტონამდეც მოაღწია ათობით ლობისტური კომპანიის და პიარ სააგენტოების გზით, რომლებსაც ორივე ქირაობდა. ახალმა მთავრობამ ბევრ მათგანთან კონტრაქტი გაწყვიტა, თუმცა დაიტოვა ორი წამყვანი სამართლის ექსპერტი აშშ-ში — ჰარვარდის სამართლის სკოლის პროფესორი ლარი ლესინგი და ოჰაიოს ჩრდილოეთის უნივერსიტეტის პროფესორი ჰოვარდ ფენტონი — იმ აზრის ჩამოყალიბებისთვის, რომ სააკაშვილის ძალაუფლება არადემოკრატიულია.

უსუფაშვილმა განაცხადა, რომ სააკაშვილმა მოითხოვა, რომ საკონსტიტუციო რეფორმა განხილულ იქნეს ამნისტიასთან ერთად მთავრობის იმ ყოფილი ჩინოვნიკებისთვის, რომლებსაც კორუფციასა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების სხვა ფაქტებში სდებენ ბრალს. პრეზიდენტი ახალ მთავრობას ადანაშაულებს იმაში, რომ ისინი სასამართლოებს ოპონენტების წინააღმდეგ იყენებენ, მაგრამ, მთავრობის თქმით, ეს იმ წარსული საქმეების გამოძიების გაგრძელებაა, რომელიც სააკაშვილის დროს თაროზე იყო შემოდებული.

უსუფაშვილმა განაცხადა, რომ ის ვაშინგტონში იმისთვის არის, რომ დაარწმუნოს კანონმდებლები და ობამას ადმინისტრაციის ჩინოვნიკები — ახალი მთავრობა პატივს სცემს დემოკრატიულ რეფორმებს და არ აპირებს დასავლეთის მიტოვებას რუსეთთან ალიანსისთვის, როგორც ამას სააკაშვილი ამტკიცებს. ამის დასტურად, უსუფაშვილი მიუთითებს გასულ კვირას მიღებულ ორპარტიულ საგარეო-პოლიტიკურ დოკუმენტზე, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოს მისწრაფებას ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრობისკენ და გამორიცხავს გაწევრებას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ) — ორგანიზაციაში, რომელიც ცხრა ყოფილი საბჭოთა სახელმწიფოს ერთობაა და მიზნად ისახავს რუსეთთან მჭიდრო კავშირების შენარჩუნებას.

**ჯულიან პიკვიტი**

THE HILL

# საქართველო შეიძლება გამოიყენონ, როგორც სატრანზიტო ტერიტორია დამნაშავე ელემენტებისთვის

**საქართველო შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც სატრანზიტო ტერიტორია დამნაშავე ელემენტებისთვის, განაცხადა ორშაბათს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ ტერორიზმის თავიდან აცილების საქმეში თანამშრომლობის განმტკიცების საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც ბაქოში მიმდინარეობს. „საერთაშორისო პარტნიორობის მოწესრიგება მნიშვნელოვანია დიალოგის გაღრმავების თვალსაზრისით ტერორიზმის გამოვლენასთან ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდისთვის. ჩვენი საქმიანობა კანონმდებლობას უნდა შეესაბამებოდეს“, – თქვა მან.**

ფანჯიკიძემ გამოთქვა შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ტერიტორია შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც სატრანზიტო მარშრუტები დამნაშავეთა ჯგუფებისთვის. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ მოვლენასთან ბრძოლისთვის აუცილებელია გამოვიყენოთ საერთაშორისო მექანიზმები.

„ჩვენ გვესმის საერთაშორისო გაერთიანების შეშფოთება ამ საკითხში. ეს პრობლემა ჩვენთვის აქტუალურია. ჩვენ ვღებულობთ ზომებს ეროვნული უშიშროების განმტკიცებისთვის, კერძოდ, ვაძლიერებთ სამართალდაცვის ორგანოების, სასაზღვრო სამსახურებისა და ანტიტერორისტული ჯგუფების მუშაობას. იზრდება უსაფრთხოება საზღვრისპირა ზონებში, საზღვრის გადაკვეთის პუნქტებში“, — განაცხადა უწყების ხელმძღვანელმა.



ფანჯიკიძემ აღნიშნა, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების ეფექტიანი რეალიზაციის უზრუნველყოფისთვის შეიქმნა სპეციალური სტრუქტურა, რომელიც ყინავს ანგარიშებს, სხვადასხვა დამნაშავე დაჯგუფებებს რომ ეკუთვნით, თავიდან იცილებს იარაღის გაყიდვას. მისი სიტყვებით, ამასთან ერთად, შეიქმნა სპეციალური ანტიტერორისტული ცენტრი სამინისტროსთან.

„ამასთან ერთად, საქართველოში დაიწყეს ტერორიზმთან ბრძოლის ეროვნული სტრატეგიის დამუშავება, შეიქმნა საუწყებათაშორისო სამუშაო ჯგუფი ამ სტრატეგიის შესამუშავებლად“, — თქვა მან.

საგარეო საქმეთა მინისტრის სიტყვებით, საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ამ მიმართულებით გაეროს შესაბამის ორგანიზაციებთან.

„დღეს არსებობს ტერიტორიები, რომლებიც არ ემორჩილებიან სახელმწიფოებს, და არიან უკონტროლოდ. ისინი უსაფრთხო ნავსადგურებად ხდებიან კრიმინალური ელემენტებისთვის, რაზეც საერთაშორისო სტრუქტურებმა უნდა მიაქციონ თავისი გაზრდილი ყურადღება“, — ხაზგასმით აღნიშნა მან.

როდესაც კიბერტერორიზმზე საუბრობდა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ტერორისტების საბოტაჟმა კიბერსივრცეში შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს სახელმწიფოს ნორმალურ ფუნქციონირებასა და თავდაცვის სფეროზე.

TREND

## დედამიწის ზურგზე



**ერაყში ომის ათი წლისთავი ვაშინგტონმა „დუმილის შეთქმულებით“ აღნიშნა.**

როგორც ჩანს, ათი წლის შემდეგ ამერიკა ერაყისგან ბედნიერად „იბანს ხელებს“, აღნიშნავენ ჟურნალისტები. ომთან დაკავშირებული პოლიტიკოსების „მონანიება“ არ შეინიშნება, ბევრი კვლავ გვარწმუნებს თავიანთი გადაწყვეტილების სისწორეში, ხოლო თუ აღიარებენ კიდეც შეცდომებს, მაინც დამსახურებად მიიჩნევენ ერაყელთა „უკეთეს ცხოვრებას“. მაგრამ ერაყი შორსაა სტაბილურობისგან, და საზოგადოებრივი აზრი ამერიკის შეერთებულ შტატებში სულ უფრო და უფრო მკაცრდება.

* * *

**აშშ-ის არმიამ შეწყვიტა ნაღმტყორცნების გამოყენება: სწავლებაზე აფეთქების შედეგად 7 კაცი დაიღუპა**



ინციდენტი მოხდა ორშაბათ საღამოს სწავლების დროს „ჰოტორნის“ ბაზაზე. აფეთქდა 60-მილიმეტრიანი ნაღმი. საზღვაო ქვეითი ჯარების 7 ჯარისკაცი ადგილზე დაიღუპა, კიდევ ამდენი ჰოსპიტალიზებულია. ნაღმტყორცნების გამოყენება შეჩერებულია გამოკვლევის პერიოდში.

* * *

**გადაარჩინეს ყველა მეშახტე, რომლებიც ნანგრევებში აღმოჩნდნენ პოლონეთის მაღარო „რუდნაში“**



19 მაღაროელი აღმოჩნდა მიწისქვეშ დაბლოკილი მიწისძვრის შემდეგ, რომლის მაგნიტუდაც 4,7 იყო. სამაშველო ოპერაცია თითქმის 7 საათი გრძელდებოდა. შედეგად ყველა მაღაროელი გადაარჩინეს. ოთხმა მიიღო დაზიანება.

* * *

**იაპონელმა დედაბერმა 81 ასაკში მიიღო დიპლომი საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ**

მიზანსწრაფულობის ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ რიცუკო კენმოკუ ქალაქ კავაგუტიდან. მიუხედავად დიდი ასაკისა, მან შეისრულა მთელი თავისი ცხოვრების ოცნება. ხანდაზმული სკოლის მოსწავლე არ აპირებს შეჩერდეს მიღწეულზე — უკვე აპრილში იგი წავა მეცადინეობებზე უფროს სკოლაში.






PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ თარიღი

# დიდი ქართველი მოაზროვნე, რომლის დავიწყება არ ეგების!



## არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალებიდან 100 წლის გამო

**დიდი ქართველი პუბლიცისტის, პოლიტიკოსისა და იურისტის არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალებიდან 100 წელი შესრულდა. იგი მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის პირველი ათწლეულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოღვაწეა, რომელმაც დიდი ზეგავლენა მოახდინა მე-20 საუკუნის დასაწყისისა და შემდგომი ხანის ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე.**

ის სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის ერთ-ერთი შემქმნელი და იდეოლოგი იყო, რის გამოც ქართველი სოციალ-დემოკრატები მას ებრძოდნენ და ამ ბრძოლის ექო დიდხანს შემორჩა ქართულ ისტორიოგრაფიას.

დიდი ხნის მანძილზე არჩილ ჯორჯაძე ბურჟუაზიულ ნაციონალისტად ითვლებოდა. მისი შემოქმედება თითქმის „თეთრი ლაქა" იყო ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში. ამის გამოა, რომ მხოლოდ 60-იანი წლებიდან შემოვიდა იგი „სამეცნიერო მიმოქცევაში". რა თქმა უნდა, მაშინ იყო პირველი ცდები, რომ მას ისტორიაში ღირსეული ადგილი დაეჭირა (ამ პოზიციაზე მხოლოდ რამდენიმე მეცნიერი იდგა), ძირითადად კი მისი მემკვიდრეობა უკანასკნელ პერიოდამდე ცალმხრივად განიხილებოდა. ქართულ პარტიულ ლიტერატურაში ყურადღებას ამახვილებდნენ მხოლოდ არჩილ ჯორჯაძის ანტიმარქსისტულ შეხედულებებზე.

სამწუხაროდ, სრულიად დაჩრდილული იყო არჩილ ჯორჯაძის ღვაწლი, რომელიც მას, როგორც მოაზროვნესა და პუბლიცისტს, მიუძღვის ქართული საზოგადოებრივი აზრის, ქართველ სამოციანელთა პოლიტიკური, ეროვნული შეხედულებების შესწავლაში. არჩილ ჯორჯაძეს ეკუთვნის პრიორიტეტი დიმიტრი ყიფიანის, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, ქართველი ოთხმოციანელების პოლიტიკური და ეროვნული აზროვნების განვითარების გზების შესახებ, ძალზე ბევრია მართებული და გასაზიარებელი. მის ნაშრომებში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ქართული სამართლის ისტორიის საკითხებს.

არჩილ ჯორჯაძე იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც პირველნი დაინტერესდნენ ქალის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების აუცილებლობით. იგი მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე იღვწოდა ქალთა ემანსიპაციისთვის, სწავლა-აღზრდის სისტემის გაუმჯობესებისათვის, ოჯახში, საზოგადოებაში ქალისა და მამაკაცის უფლებრივი თანასწორობისთვის, ოჯახის როლისა და მნიშვნელობის ამაღლებისთვის, რასაც ქართული სახელმწიფოებრიობის ძლიერების საფუძვლად მიიჩნევდა.

არჩილ ჯორჯაძეს შეუფასებელი არ დარჩენია 1783 წლის ტრაქტატისა და 1801 წლის მანიფესტის სამართლებრივი ბუნება. მისი აზრით, ქართველმა ხალხმა სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ბრძოლაში უნდა მიმართოს კანონიერ ფორმას ისევ რუსეთის პარლამენტში ბრძოლის გზით და არა ინტერნაციონალური სამსჯავროს მეშვეობით. **„ამ საგნის შესახებ ე.წ. უფლების ნიადაგზე ლაპარაკის გამართვა რუსეთის მთავრობასთან ჩვენ უსათუოდ უნდა გამოვიყენოთ, როგორც პრაქტიკული საშუალება".**

არჩილ ჯორჯაძემ სახელი გაითქვა თავისი **„საერთო ნიადაგზე დგომის"** თეორიით. იგი თვლიდა, რომ საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვა მოითხოვდა სხვადასხვა კლასების, ჯგუფების და სოციალური ფენების გაერთიანებას ერთი ეროვნული დროშის ქვეშ. ამ თეორიის დედააზრად მიაჩნდა: მშობლიური ენის დაცვა, ქართული ეროვნული ვაჭრობა-მრეწველობის შექმნა-განვითარება, ქართული ეროვნული მეურნეობის განვითარება, თვითმმართველობაში აქტიური ჩარევა და სახალხო მოღვაწეობა.

არჩილ ჯორჯაძე 1913 წლის 21 მარტს 41 წლის ასაკში გარდაიცვალა და, ასეთი ხანმოკლე სიცოცხლის მიუხედავად, მან თავისი სიტყვა თქვა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აზროვნების განვითარებაში. ამიტომაა, რომ თითქმის ყველა მკვლევარი, ვინც მე-19 საუკუნის დამლევის და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების და აზროვნების განვითარების საკითხებზე მუშაობს, გვერდს ვერ უვლის არჩილ ჯორჯაძის შეხედულებებს. დავასახელებთ ამ მკვლევარებს: გ. აბაშიძე, გ. აბზიანიძე, ალ. ბენდიანიშვილი, ა. ბაქრაძე, ვ. გაგოიძე, დ. გამეზარდაშვილი, ზ. გეგეშიძე, გრ. გიორგაძე, ჰ. გუგუშვილი, გ. თოდუა, ალ. კალანდაძე, ფ. ლომიაშვილი, ვ. მეტრეველი, ლ. მინაშვილი, ფ. ნადიბაიძე, ლ. ნანიტაშვილი, პ. რატიანი, უ. სიდამონიძე. აკ. სურგულაძე, ე. წოწელია, გ. ხვედელიძე, ს. ჯორბენაძე და სხვები.

ჯორჯაძე ქართული დემოკრატიული ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენელია და მისი თეორიული მემკვიდრეობა იმსახურებს ყოველმხრივ მეცნიერულ შესწავლას. ამ მხრივ უკვე გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები. პრესაში გამოქვეყნდა თ. მაღლაკელიძის, ა. მუჯირის და დ. შველიძის საინტერესო გამოკვლევები. რამდენიმე წლის წინათ გამომცემლობა „მერანმა" დასტამბა არჩილ ჯორჯაძის **„წერილები",** რომელიც შეადგინა ა. ბაქრაძემ. ცალკე წიგნებად გამოიცა გ. ლობჟანიძის ოთხი მონოგრაფია არჩილ ჯორჯაძის სოციალურ-პოლიტიკური და სამართლებრივ შეხედულებებზე, ასევე გამოვიდა ე. კოდუას რედაქტორობით **„სამშობლო და მამულიშვილობა"** და ლ. ნანიტაშვილის **„საქართველოს რაინდი არჩილ ჯორჯაძე"**.

როგორც იტყვიან, „ყინული გალღვა" და მომავალშიც ველით ამ დიდი ეროვნული მოღვაწის თეორიული მემკვიდრეობის თუ პრაქტიკული საქმიანობის ღრმა მეცნიერულ კვლევას. ამის სტიმულია თუნდაც ის ნაბიჯი, რომ ხვალ, 22 მარტს, გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტში ტარდება უნივერსიტეტთაშორისი სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც ეძღვნება არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალების 100 წლის თავს. ახალმა თაობამ მეტი ინტერესი უნდა გამოიჩინოს მისი თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობის შესწავლის მიზნით.

**გივი ლობჟანიძე,**
**სერგო ტეფნაძე,**
**გიორგი მათიაშვილი,**
**ჯემალ გახოკიძე,**
**ელბერდ ბატიაშვილი.**
**პროფესორები**

◎ თანამედროვე

# „დონ ჟუანი" და დიპლომატია

**ამას წინათ ნიუ-იორკში, ჩელსიში ერთ-ერთ სამხატვრო გალერეაში სახელწოდებით 287Spring უჩვეულო ჩვენება გაიმართა. გალერეამ თავისი კედლები ქართველი მხატვრის, რეჟისორის, ქორეოგრაფისა და დიზაინერის ირინა გაჩეჩილაძის დადგმის „დონ ჟუანის" ვიდეოჩვენებას დაუთმო.** სანამ მოსკოვის თეატრალური ხელოვნების აკადემიაში („გიტისი") ჩააბარებდა, ირინამ თბილისში საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი დაამთავრა. დიპლომატის ცოდნა კი, არა რომელიმე საელჩოს კაბინეტში მოსაწყენი სამუშაოს შესასრულებლად სჭირდებოდა, არამედ ცოდნის გასაღრმავებლად. იგი თვლის, რომ ხელოვანი, მეტადრე კი რეჟისორი კარგად უნდა ერკვეოდეს პოლიტიკასა და ეკონომიკაში, რადგან, რაც უფრო მრავალმხრივი განათლება აქვს, მისი ხედვაც უფრო მრავალფეროვანია; რომ დიპლომატია ხელოვნებაა, თეატრია, სადაც ნიღბებით თამაშობენ.

მოსკოვის თეატრალური ხელოვნების აკადემიის მაგისტრატურაში სწავლისას ირინა გაჩეჩილაძის სადისერტაციო თემა გახლდათ მოცარტის ოპერა „დონ ჟუანი". მან დონ ჟუანის დეკორაციებისა და ზოგადად რეჟისორული კონცეპტის შექმნამდე წაიკითხა ყველაფერი, რაც კი ამ სპექტაკლზე დაიწერა არა მარტო საქართველოსა და რუსეთში, არამედ სხვა ქვეყნებში და ამისთვის საზღვარგარეთ ყოფნისას ყველა



ბიბლიოთეკას სტუმრობდა. როგორც თავად ამბობს, მოცარტის „დონ ჟუანი" იმიტომ შეარჩია, რომ ძალიან ლამაზი მუსიკაა, თავად „დონ ჟუანის" თემაც აქტუალურია ყველა დროსა და ქვეყანაში. დადგმა ეკლექტურია, გამოყენებულია კომპიუტერული გრაფიკა და კინოს ელემენტები. დეკორაცია უხმოდ იცვლება, რათა მუსიკის ჟღერადობას ხელი არ შეეშალოს. დადგმას არა აქვს მოქმედების კონკრეტული დრო. მაგრამ ირინა გაჩეჩილაძის იდეა უფრო მასშტაბური იყო, ვიდრე მხოლოდ მისეული ხედვით მოცარტის სახელგანთქმული ოპერის დადგმა. მისი ჩანაფიქრით ამ დადგმაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ მუსიკოსებსა და მომღერლებს, ხოლო სპექტაკლი თბილისის ოპერისა და ბალეტის სცენაზე უნდა გამართულიყო, როგორც კავკასიაში სამშვიდობო ფართომასშტაბიანი ინიციატივა, მაგრამ რიგი მიზეზების გამო ეს არ მოხერხდა.

ირინამ ხელი მოჰკიდა თავის პროექტს, ერევანში ჩავიდა და ერევნის ოპერის თეატრის დირექტორს თავისი ჩანაფიქრი გაუზიარა. 2009 წელს ერევნის სცენაზე მართლაც დაიდგა „დონ ჟუანი", სადაც ქართველი ხელოვანი გახლდათ რეჟისორიც, ქორეოგრაფიც,



კოსტიუმებისა და დეკორაციების ავტორიც და პროექტის პროდიუსერიც. პროდუსერობა მან შესძლო არაკომერციული ფონდის საშუალებით, რომელიც თავადვე დააარსა და რომლის მიზანია თანამედროვე ხელოვნების განვითარება. მან „დონ ჟუანისთვის" დეკორაციები და კოსტიუმები შექმნა, თბილისიდან თავისი ხარჯითა და ფონდის დახმარებით ერევანში ჩაიტანა, სადაც სომეხი მომღერლები უსასყიდლოდ ჩაერთვნენ მის სპექტაკლში. როგორც თავად ამბობს, სომხეთში სპექტაკლს ძალიან დიდი წარმატება ხვდა წილად. სომეხმა მაყურებელმა ქართველი ხელოვანის მიმართ დიდი ინტერესი გამოიჩინა. ეს პროექტი, ბუნებრივია, საინტერესო იყო არა მხოლოდ სახელოვნებო, არამედ როგორც მეგობრობისა და კეთილმეზობლური კავშირების გამყარების მხრივაც. ადამიანები სპექტაკლზე მეორედ მიდიოდნენ და თან თავისი ახლობლებიც მიჰყავდათ.

„დონ ჟუანამდე" კი გახლდათ ირინას მიერვე მოძიებული თანხებით გადაღებული ხუთი ფილმი. ამათგან ფილმებმა „ვაშლმა" და „სტიგმა" ფესტივალ „კინოშოკის" პრიზები დაიმსახურა და მოგვიანებით მოსკოვში, ამსტერდამში, თელავივსა და ნიუ-იორკში ამ ფილმების რეტროსპექტივებიც გაიმართა. ფილმების სტილისტიკა კი გახლავთ ვიდეოცეკვა, თუმცა, ირინას ბოლო ნამუშევარი „იერუსალიმი" სრულიად განსხვავებული ჟანრისაა და იერუსალიმზე, როგორც შეგრძნებების ქალაქზე მოგვითხრობს.

ერევანში „დონ ჟუანის" პრემიერის შემდეგ ირინა გაჩეჩილაძემ თბილისის მარჯანიშვილის სახელობის თეატრში პუშკინის „ონეგინი" დადგა. ირინას თხოვნით „ონეგინის" დრამატული ვერსია მწერალმა ბედო ხვედელიძემ




შექმნა. ირინამ აქაც ორიგინალური იდეა განახორციელა — პერსონაჟები რუსული მატრიოშკებია.

გარდა სასცენო მოღვაწეობისა, ირინა ხატავს. მისი ნამუშევრები გამოიფინა თელავივსა და კარმიელში. თბილისში კი, ქარვასლაში, მისი ინსტალაციებისა და „ხმოვანი სკულპტურების" გამოფენა მოეწყო.

**ია მერკვილაძე,**
**ნიუ-იორკი, აშშ.**

**სურათებზე: ირინა გაჩეჩილაძე ; ონეგინი; ნახატი; დონ ჟუანი.**





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ჭიდაობა

# პირველი დღის ქრონიკა



**თბილისის სპორტის სასახლეში დაწყებულ ევროპის ჩემპიონატის პირველ საშეჯიბრო დღეს ჩემპიონ-პრიზიორები სამ წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ. ვაჟთა შორის 66 კილოგრამში გამართული შეჯიბრება სომეხმა დავიდ საფარიანმა მოიგო, ვინც ფინალურ ორთაბრძოლაში თურქ იაკუპ გორს აჯობა.**

ფინალური შეხვედრის ორივე პერიოდი უქულოდ დასრულდა, ბურთულის ამოღებისას კი ორივეჯერ საფარიანს გაუმართლა, ვისაც მიღებული უპირატესობის გამოყენება არ გასჭირვებია — 1:0, 1:0. 96-კილოგრამში ოქროს მედლისთვის უკრაინელი პავლო ოლეინიკი და პოლონელი სტანისლავ სკასკიევიჩი დაეჭიდნენ ერთმანეთს. გამარჯვება ოლეინიკს დარჩა.

უკრაინელი ფალავანი დამაჯერებლად — 1:0, 4:0 გაუსწორდა მეტოქეს და ოქროს მედალი მოიპოვა. 48 კილოგრამში ჩატარებული ქალთა ევროპირველობა კი რუსმა ვალერია ჩეპსარკოვამ მოიგო, რომელმაც გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ბრიტანელ იანა სტადნიკს 1:0, 1:0 სძლია და ოქროს მედლის მფლობელი გახდა.

ფინალური შეხვედრების დაწყებამდე კი თბილისის სპორტის სასახლეში ევროპის ჩემპიონატის ოფიციალური გახსნის ცერემონიალი გაიმართა. იგი ანსამბლ „შვიდკაცას“ მიერ შესრულებული საქართველოს ჰიმნით დაიწყო, შემდეგ კი სპორტის სასახლეში შეკრებილ გულშემატკივრებს, ტურნირში მონაწილე სპორტსმენებს და ოფიციალურ სტუმრებს საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა ლუკა კურტანიძემ, ევროპის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა ცენო ცენოვმა, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნენად ლაზოვიჩმა და საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა მიმართეს.

ბიძინა ივანიშვილმა თავისი გამოსვლის დასასრულს ევროპის ჩემპიონატი გახსნილად გამოაცხადა. ამის შემდეგ სპორტის სასახლეში შეკრებილი გულშემატკივრების და სტუმრების წინაშე მრავალფეროვანი ნომრით ანსამბლი „ერისიონი“ წარსდგა. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა კი ვეტერან მოჭიდავეებს გურამ საღარაძეს და ლევან თედიაშვილს იუბილე მიულოცა და სპორტის რაინდის წოდებით დააჯილდოვა.



**მანუჩარ გიორგაძე**



ჭადრაკი

# ხმიადაშვილის ბრინჯაო ევროპის ჩემპიონატზე



**ბულგარეთის ქალაქ პლოვდივში დასრულებულ ევროპის ჩემპიონატზე სენიორთა შორის ოქროს მედალი მასპინძელ მარგარიტა ვოისკას (2289) ერგო, რომელმაც 9 ტურში 7 ქულა მიითვალა. ქართველთაგან საუკეთესო შედეგი თამარ ხმიადაშვილს (2148) ჰქონდა. მან ესტონელი ტატიანა ფომინას დარად 6 ქულა მოაგროვა, თუმცა, ბალტიისპირელს დამატებითი მაჩვენებლებით აჯობა და მე-3 ადგილი დაიკავა.**

შეგახსენებთ, რომ პლოვდივში გამართულ ტურნირში კიდევ 2 ქართველი მოჭადრაკე თამაშობდა. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა (2329) უმთავრესი ფავორიტის სტატუსი ვერ გაამართლა და 5 ქულით მე-6 პოზიცია დაიკავა, მარგალიტა თანდაშვილი კი (2025) 3.5 ქულით 19 მონაწილეს შორის მე-17 გახლდათ.

**ბეჟან დოლიძე**

ფეხბურთი

# „საბურთალომ“, შესაძლოა, ზაფხულიდან პირველ ლიგაში ითამაშოს

**საფეხბურთო სკოლა „საბურთალო“ პრიორიტეტს არ ცვლის და კვლავაც ტალანტების აღზრდაზე იქნება აქცენტირებული. დღესდღეობით 21-წლამდელებში და სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებშიც „საბურთალოს“ ბევრი ფეხბურთელი თამაშობს.**

იცვლება მხოლოდ ის, რომ, დიდი ალბათობით, „საბურთალო“ ზაფხულიდან პირველ ლიგაში იასპარეზებს. ამაზე საუბარი ჯერ კიდევ შარშან დაიწყო და ჯერ ბოლომდე გადაწყვეტილი არაა.

თუ ასე მოხდება, პირველ ლიგაში „საბურთალოს“ 1996 წელს დაბადებულ ჭაბუკთა გუნდი გამოვა. „საბურთალოს“ ამ ასაკის გუნდს საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი გიორგი დევდარიანი თავკაცობს.

**საკუთარი ინფორმაცია**

ძალა ერთობაშია

# რაგბის კავშირის და RMG GOLD-ის თანამშრომლობა გრძელდება





**სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს საპრესკონფერენციო დარბაზში საქართველოს რაგბის კავშირმა და კომპანია RMG GOLD-მა ხელი მოაწერეს სასპონსორო ხელშეკრულებას, რაც ითვალისწინებს რაგბის კავშირის გენერალური სპონსორობის გაგრძელებას. სასპონსორო პაკეტი იმოქმედებს 2013 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 იანვრამდე.**

კონტრაქტზე ხელი მოაწერეს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გია ნიჟარაძემ და კომპანია Rich metals group-ის გენერალურმა დირექტორმა დიმიტრი კალანდაძემ. ღონისძიებას დაესწრო სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი და კომპანიას რაგბის კავშირის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

RMG Gold რაგბის კავშირის სპონსორი 2004 წლიდან არის და იტოვებს პასუხისმგებლობას მომავალშიც გააგრძელოს სპორტის მხარდაჭერა.

**როსტომ რაჭველიშვილი**

ჩოგბურთი

# ტატიშვილი ბერტენსთან დამარცხდა



**ანა ტატიშვილისთვის ფლორიდის შტატის მაიამის WTA Sony Open Tennis ტურნირი პირველსავე წრეში დასრულდა. რეიტინგსიის მესამოცე საფეხურზე მდგომმა ქართველმა პირველი სეტი 0:6 წააგო კლასიფიკაციის 42-ე ნომერ ჰოლანდიელ კიკი ბერტენსთან, ხოლო მეორე პარტიას 0:1-ს აგებდა, როდესაც მატჩის გაგრძელებაზე უარი განაცხადა.**

უთანასწორო ბრძოლა მხოლოდ 32 წუთს გაგრძელდა. ბერტენსმა 4 ბრეიკი შეასრულა და მეორე წრეში რეიტინგის მეხუთე ნომერ ჩინელ ნა ლის შეხვდება.

წაგების შედეგად ტატიშვილმა 50 სარეიტინგო ქულა დაკარგა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

დაზვერვაზე

# მოურინიო ხიზანიშვილის მატჩს დაესწრო



**ცხადია, მადრიდის „რეალის“ პორტუგალიელი სპეციალისტის მიზანი არა ქაისერისფორელი ზურაბ ხიზანიშვილის თამაშისთვის თვალის დევნება, არამედ უეფას ჩემპიონთა ლიგის 1/4-ფინალში თავისი მეტოქის — „გალათასარაის“ დაკვირვება გახლდათ.**

Football Espana-ს ცნობით, ჟოზე მოურინიო „ქაისერისფორისა“ და „გალათასარაის“ მატჩზე ადგილობრივმა ჟურნალისტებმა შენიშნეს. აღნიშნული დაპირისპირება სტამბულელებმა 3:1 მოიგეს.

შეგახსენებთ, რომ „რეალისა“ და „გალათასარაის“ პირველი 1/4-ფინალური მატჩი 2 აპრილს შედგება.

**გიორგი შოთაძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: **მეორე შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტი (SLRPII)**

განმახორციელებელი სააგენტო: **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**

ქვეყანა: **საქართველო**

პროექტის ნომერი: P122204

სატენდერო დოკუმენტის/კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: SLRPII/CW/NCB-07

კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: **ზომლეთი-ხიხაძირი კმ5-კმ 11 გზის მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები**
კონტრაქტის ხანგრძლივობა: 15 (თხუთმეტი) თვე
შესაფასებელი ვალუტა: ლარი

**ტენდერში მონაწილე კომპანია(ები)**

1. შპს ,,ზიმო 7''
2. შპს ,,მამისონი''
3. შპს ,,ბლექსი გრუპი''
4. შპს ,,ფინ ესტატე''

**გამარჯვებული კომპანია**
დასახელება: შპს ,,ზიმო 7''
მისამართი: ქ. ბათუმი, ხახულის ქ. 59, ს/კ №245424919
სატენდერო წინადადების ამოკითხული ფასი: 4,569,600.00 ლარი
სატენდერო წინადადების კორექტირებული ფასი: 4,569,600.00 ლარი
საკონტრაქტო ღირებულება: 4,569,600.00 ლარი

**შეფასებული კომპანია(ები)**
დასახელება: შპს ,,ბლექსი გრუპი''
მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 71
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: 6,511,104.34 ლარი
სატენდერო წინადადების კორექტირებული ფასი (ლარში): 6,511,104.34 ლარი

**დისკვალიფიცირებული კომპანია(ები)**
დასახელება: არ არის
მისამართი: არ არის
სატენდერო წინადადების ამოკითხული ფასი: არ არის
დისკვალიფიკაციის მიზეზი: არ არის

## Contract Award Notification

**Project Name:** Second Secondary and Local Roads Project (SLRPII)
The project implementing Agency: **Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia**

Country: Georgia

Project Number: P122204

Bid/Contract Reference No: SLRPII/CW/NCB-07

Scope of Contract: **Rehabilitation works of local road Zomleti-Khikhadziri km5-km11 section**
Duration of Contract: 15 months
Evaluation Currency: Georgian Lari

**Awarded Bidder(s)**
Name: ,,Zimo 7'' Ltd
Address: 59 Khakhuli Street, I/C 245424919, Batumi
Bid price at bid opening: 4,569,600.00 Gel
Evaluated Bid Price: 4,569,600.00 Gel
Contract Price: 4,569,600.00 Gel

**Evaluated Bidder(s)**
Name: ,,Black Sea Group'' Ltd
Address: 71 Vazha Pshavela Avenue, 0186 Tbilisi
Bid price at bid opening: 6,511,104.34 Gel
Evaluated bid price: 6,511,104.34 Gel

**Rejected Bidder(s)**
Name: N/A
Address: N/A
Bid price at bid opening: N/A
Reason(s) for rejection: N/A

## შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: **მესამე აღმოსავლეთ-დასავლეთი ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პროექტი**

განმახორციელებელი სააგენტო: **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**

ქვეყანა: **საქართველო**

პროექტის ნომერი: P112253

სატენდერო დოკუმენტის/კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: TEWHIP AF/CS/CQS-01
კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: **E-60 ავტომაგისტრალის რუისი-რიკოთის კმ95-კმ143 მონაკვეთის მეორე სეგმენტის (კმ19-კმ31) მშენებლობისათვის დეტალური პროექტის ანალიზი**
კონტრაქტის ხანგრძლივობა: 2 ნახევარი თვე
საკონტრაქტო ვალუტა: აშშ დოლარი

**გამარჯვებული კომპანია**
დასახელება: TEMELSU International Engineering Services Inc.
მისამართი: Yildizevler 721 Sokak No: 5, Cankaya 06550 ანკარა, თურქეთი
მოლაპარაკებული საკონტრაქტო ღირებულება: 197,204.22 აშშ დოლარი
საკონტრაქტო ღირებულება: 197,204.22 აშშ დოლარი

## Contract Award Notification

Project Name: **Third East-West Highway Improvement Project (TEWHIP)**

The project implementing Agency: **Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia**

Country: Georgia

Project Number: P112253

Bid/Contract Reference No: TEWHIP AF/CS/CQS-01

Scope of Contract: **Design Review of Detailed Design for Construction of second segment from Km19 to Km31 of the E-60 Highway Ruisi-Rikoti section Km95-Km143**
Duration of Contract: 2 and half months
Evaluation Currency: USD

**Awarded Bidder(s)**
Name: TEMELSU International Engineering Services Inc.
Address: Yildizevler 721 Sokak No: 5, Cankaya 06550 Ankara/ Turkey
Negotiated Bid Price: USD 197,204.22
Contract Price: USD 197,204.22

## შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: **მესამე აღმოსავლეთ-დასავლეთი ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პროექტი**

განმახორციელებელი სააგენტო: **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**

ქვეყანა: **საქართველო**

პროექტის ნომერი: P112253

სატენდერო დოკუმენტის/კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: TEWHIP /CS/SSS-03

კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: **ლიახვის ხიდის თვით გამძლეობისა და მასალების ტესტირება, სტრუქტურული ადეკვატურობის შემოწმება**

